დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაია ბუაძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

ნათია ქოქუაშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,
ნანა სონღულაშვილი -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
ნიკოლოზ გურგენიძე -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
ნათია ქათამაძე -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი,
ლამარა დარახველიძე -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,
ოლიკო კილაძე -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,
როლანდი ხოჯანაშვილი -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მანანა შეროზია -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, გიორგი კოპლატაძე- სპორტის საგნობრივი ექსპერტი, ნათია ბალხამიშვილი -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	228525441

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი დედოფლისწყარო
იურიდიული მისამართი	ქ.დედოფლისწყარო, 9 აპრილის ქ.148;
ფაქტობრივი მისამართი	ქ.დედოფლისწყარო, 9 აპრილის ქ.148;
საფოსტო ინდექსი	1600
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Dedoplistskaro2@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 38 74 10

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 3 23 0001023304 22/08/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 25 და 26 სექტემბერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1.	დაწყებითი საფეხური	დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქალაქი დედოფლისწყარო, 9 აპრილის ქ.148;
2.	საბაზო საფეხური	საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქალაქი დედოფლისწყარო, 9 აპრილის ქ.148;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.	საშუალო საფეხური	საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქალაქი დედოფლისწყარო, 9 აპრილის ქ.148;

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2023 წლის 25-26 სექტემბერს სსიპ ქალაქ დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

1.მაია ბუაძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,თავმჯდომარე
2.ნათია ქოქუაშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
3. ნანა სონღულაშვილი -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
4.ნიკოლოზ გურგენიძე -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
5. ნათია ქათამაძე -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი,
6.ლამარა დარახველიძე -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,
7.ოლიკო კილაძე -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,
8. როლანდი ხოჯანაშვილი -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,
9.მანანა შეროზია -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,
10.გიორგი კოპლატაძე- სპორტის საგნობრივი ექსპერტი,
11. ნათია ბალხამიშვილი -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია (ქიმია-ბიოლოგია და ფიზიკა), რომელიც შეისწავლა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები გაესაუბრნენ, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს. საგნობრივი ექსპერტების შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან განხორციელდა ონლაინ: 25 სექტემბერს- teams-ის საშუალებით სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, ხოლო 26 სექტემბერს- teams-ის საშუალებით კათედრების მიხედვით, საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვასა და შეფასების სისტემებზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
	245	

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	**☐ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	**☐ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	**☐ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება **☐ მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება **☐ მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	**☐ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2	☐ **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 400	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	სკოლა არის ერთცვლიანი.

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
ექსპერტთა ჯგუფმა **შესაბამისად** შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობ* *რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	**<u>14.11.2023-14.12.2023 პერიოდში</u> <u>სკოლამ უზრუნველყოს</u> <u>პედაგოგების მიერ</u> ნასამართლობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობების წარმოდგენა.**

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილზივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	**<u>სკოლამ 04.09.2023-14.11.2023 პერიოდში უზრუნველყოს სამხარაულის სახელმწიფო სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება.</u>** **<u>04.09.2023-14.11.2023 პერიოდში სკოლა უზრუნველყოფს შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციით სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება;</u>**
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობ რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო	სასურველია,სკოლამ უზრუნველყოს ვებ გვერდზე შემდეგი ინფორმაციის დამატება პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები დ მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლებ დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლ პროცესთან დაკავშირებული აუცილებელ მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერ სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები...

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
ინდიკატორი 3.4.1.6.	სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;	სკოლამ შეიმუშაოს ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურები.
ინდიკატორი 3.5.1.3.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სასურველია ,ბიბლიოთეკა განთავსდეს პირველ სართულზე,რათა ხელმისაწვდომი გახდეს შშშმ პირებისთვის.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი,საბაზო,საშუალო)	*რჩევა*
ინდიკატორი N2.2.1.3..	სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. (ესთეტიკური აღზრდა)	სასურველია , კათედრაზე დაინერგოს მატრიცის შექმნა, რომელშიც სწავლის პროცესის კვალდაკვალ გაიწერება, კოგნიტური უნარების რეგულირებისკენ მიმართული კითხვები,აქტივობები თუ დავალებები,რომლებიც დაეხმარება მოსწავლეს თავადვე დაგეგმონ,გაუწიონ მორიტორინგი და შეაფასონ შესრულებული სამუშაო.
ინდიკატორი	**კურიკულუმი მიემართება**	სასურველია, კურიკულუმები ისე დამუშავდეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.1.2.2	**ეროვნული სასწავლო გეგეგმით განსაზღვრულ გრძელვა დიან მიზნებს (საზოგადოებრივი მეცნიერებები)**	,რომ თემაში ჩაემატოს საკითხები და მკაფიო წარმოჩინდეს საკითხებისა და თემებ ურთიერთმიმართება;

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისიაა: შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი ,თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. შექმნას მოზარდთა ინტელექტუალური და ფიზიკური აღზრდისთვის საჭირო ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო,მოსწავლეებს მისცეს თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი განათლება.აღზარდოს სახელმწიფოებრივად და შემეცნებითად მოაზროვნე ახალგაზრდა,რომელიც მომავალი წარმატებისთვის მუდმივად იზრუნებს აკადემიური ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2.სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, რომელიც ზრუნავს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე და გეგმავს შესაბამის აქტივობებს.სკოლა უზრუნველყოფილია კამერებით, რომელთა ხედვის არეშია სკოლის შიდა და გარე სივრცე, მანდატურები ჩართულნი არიან მრჩეველთა საბჭოს მუშაობაში. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მისიისა და ხედვის შესაბამისად შემუშავებულია არაფორმალური განათლების მხარდამჭერი მექანიზმები, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები და სხვა. სკოლაში მოქმედებს წესებისა და ნორმების სისტემა, რაც ასახულია სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში. შექმნილია თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების მხარდამჭერი ჯგუფი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას გააზრებული და ჩამოყალიბებული აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების, შემუშავების მექანიზმი.დირექტორის ბრძანებით(N2/88,27 ივნისი,2023წ.) განსაზღვრულია სკოლის სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიაზე მომუშავე ჯგუფის შემადგენლობა და ფუნქციები; შემუშავებულია მისიის,ხედვის,ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია,რომელშიც დეტალურადაა აღწერილი მისიის ,ხრდვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესი: სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და პასუხისმგებლობის გაზიარებისთვის ჯგუფს შესწავლილი აქვს სასწავლო პროცესის მონაწილეთა მოსაზრებები და შეფასებები. მათი გათვალისწინებით დაზუსტებულია სკოლის ფილოსოფია.

დაინტერესებული მხარეების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში ჩართვის საკითხი წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ნაწილს,რაც თავის მხრივ სკოლის ახალი სტრატეგიული გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში იკითხება.

ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ გამოიხატება შემდეგში:სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის შემუშავებამდე სასკოლო საზოგადოების მიერ შევსებული კითხვარების ანალიზის საშუალებით მათი მოსაზრებების შესწავლა და გაზიარება; სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ სკოლის მისიისა და ხედვის შემუშავება, დირექტორის მიერ განსახილველად და შესათანხმებლად სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენა; საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ კი პედაგოგიური საბჭოს მხრიდან მისი დამტკიცება. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მხრიდან სწორედ პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოსა და მშობელთა კრებების საშუალებით.გაზიარება ხდება დამრიგებლის მიერ შექმნილი მოსწავლეებისა და მშობლების ფეისბუქის მესენჯერის ჯგუფებით.

ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები იკითხება როგორც სასკოლო სასწავლო, ისე სტრატეგიული განვითარების გეგმებში, განთავსებულია სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის გასაჯაროების მექანიზმებს, კერძოდ, სკოლის სოციალურ ქსელში გაზიარებას. სადამრიგებლო პროგრამებით გათვალისწინებულია მშობელთა კრებებზე სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაცნობა.

ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

6.საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით,სკოლის სახელწოდება, სსიპ ქალაქ დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლა, შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 5 სექტემბრის N448 ბრძანებით დადგენილ სტატუსს. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის,მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- სკოლის სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის ბრძანება N2/88,27 ივნისი,2023წ.
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სტარატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის სტრატეგიული გეგმის შემუსავების მეთოდოლოგიაზე მომუშავე ჯგუფი.სკოლის სტრატეგიულ გეგმაში აღწერილია სკოლის სახელმძღვანელო დოკუმენტების მიღების/ცვლილებების წესი, გაწერილია მუშა ჯგუფის შექმნის, სკოლის საჭიროებების შესწავლისა და დოკუმენტის შემუშავების მექანიზმები, ჩართულობის, გაზიარებისა და საჯაროობის პროცედურები.

განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები.

ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა შვიდწლიანია. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური და წარმოადგენს მისიისა და ხედვის რეალიზაციის გზას. სტრატეგიული მიზნები შეესაბამება სკოლის მისიას, ხოლო ამოცანები - სტრატეგიულ მიზნებს უკავშირდება. აღნიშნულ წლებში სკოლის სტრატეგიული მიმართულებებია: თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამისი სასწავლო-საათმზრდელო პროცესის განვითარება; თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და კონკურენტული სამუშაო გარემოს შექმნა; სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ოპტიმიზაცია და განვითარება; სკოლის ორგანიზაციული განვითარება და საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება.სტრატეგიული გეგმა გადაიხედება და ზუსტდება ყოველწლიური სამოქმედო გეგმის საშუალებით.

სკოლის სტრატეგიული გეგმა შეიცავს სკოლის ფილოსოფიასთან თავსებად მიზნებს, მიზნების შესაბამის ამოცანებს და შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 1.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

3.სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მასში მოცემულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საჭირო აქტივობები. სამოქმედო გეგმის შედგენისას გამოყენებული იქნება ხარისხის მართვისა და ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის, სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ სტრუქტურული ერთეულების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშები და შეფასებები.სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით ,სკოლა სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებას გეგმავს წელიწადში ორჯერ; დოკუმენტში წარმოდგენილია სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ალტერნატიული გზები: სკოლის დრაივზე სამოქმედო გეგმის ფაილისა და საქაღალდის გაზიარებას,რომელშიც აიტვირთება სამოქმედო გეგმაში შესაბამისი აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ანგარიშები და მტკიცებულებები და სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან წერილობითი ანგარიშებისა და მტკიცებულებების წარმოდგენა.

ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის სამოქმედო გეგმა წარმოდგენილია ცხრილის ფორმით და ასახულია ინდიკატორით მოთხოვნილი ყველა ინფორმაცია: სტრატეგიული მიზანი, ამოცანა, აქტივობა, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, ვადა, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და რესურსები. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების განხორციელების გასაჯაროების მექანიზმებს. ანგარიში წარედგინება სასკოლო საზოგადოებას. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს,შესრულების ინდიკატორები გაზომვადია და ვადებიც რეალისტურადაა მითითებული.

ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო-გეგმა;
- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის,მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს: განსაზღვრულია სამოქმედო გეგმების მონიტორინგი წელიწადში ორჯერ;საჭიროების შემთხვევაში ,მოიაზრება არაგეგმიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მონიტორინგის განხორციელებაც; მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება დაგეგმილია სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ. მონიტორინგი მოიაზრებს მონაცემების შეგროვებას გეგმებით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით;ასევე მტკიცებულებების წარმოდგენას;შეფასების კომპონენტში კი სკოლა გეგმავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებასა და შმდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას.

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგისა და შეფასების უზრუნველყოფის მიზნით წარმოადგენს სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანაგარიშს. საერთო ანაგრიშის მომზადებაში ჩართულია ყველა სტრუქტურული ერთეული და დასაქმებული პირი. მაგ., საქმისმწარმოებლის, პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის, მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე განხორციელდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას.

ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, ანგარიშის საჯაროობას უზრუნველყოფს ის, რომ სკოლა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიურ საბჭოს. ანგარიში ანგარიში იქნება გასაჯაროებული სასკოლო სივრცეში და სკოლის სოციალურ გვერდზე. ინფორმაციის გამოთხოვა შეეძლება დაინტერესებულ პირს განცხადების საფუძველზე.

ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის სტრატეგიული განვითარება წარმოდგენილია ციკლურ პროცესად. განვითარების ხედვა დაწყებულია დაგეგმვის ეტაპიდან, დაგეგმვის ეტაპზევეა გამოკვეთილი გეგმის შესრულების შეფასების კრიტერიუმები და ორიენტირები. სასწავლო პროცესის შეფასება განხორციელდება წელიწადში ორჯერ, შუალედური და შემაჯამებელი შეფასების სახით. ამგვარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე დაწესებულებას აქვს სანდო მტკიცებულებები პროცესების მიმდინარეობის შესახებ.

ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა სარგებლობს სკოლის წესდებით, რომელშიც გაწერილია საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის სავალდებულო რგოლების ფუნქცია- მოვალეობები. ასევე ადგილზე ვიზიტისას წარმოდგენილ იქნა დასაქმებული პირების შრომითი ხელშეკრულები.გასაუბრებიდან დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. .შინაგანაწესით, წესდებითა და დასაქმებულ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით რეგულირდება სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები სკოლაში. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სტრუქტურული ერთეულისა და დასაქმებულების დაკონკრეტებული გავლენის სფეროები, რეგულაციები და წესები ხელს უწყობს მიზნობრივი ამოცანების განსაზღვრას და ზრდის თანამშრომელთა საშემსრულებლო კულტურასა და პასუხისმგებლობას.სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წესდება;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სამუშაო აღწერილობები;
- შინაგანაწესი;
- საშტატო ნუსხა
- სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს განსაზღვრული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი: შინაგანაწესი და საჯარო სკოლის წესდება. სასკოლო საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა გაეცნოს აღნიშნულ დოკუმენტს. შინაგანაწესი თანხვედრაშია შრომის კოდექსთან და სკოლას ეხმარება განსაზღვროს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, აღრიცხოს სამუშაო დრო. დააწესოს შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი. წაახალისოს დასაქმებული და/ან მოსწავლე შესაბამის დროს. აღნიშნული წესები გატარებულია პერსონალთან დადებულ შრომით ხელშეკრულებაშიც. მაგალითად , სკოლა პერსონალს უქმნის მუშაობისთვის აუცილებელ პირობებს, დროულად უხდის დასაქმებულს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საზღაურს, უზრუნველყოფს სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო გარემოთი, უზრუნველყოფს დასაქმებულის დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაში დახმარების გაწევას, აცნობს სკოლის შინგანაწესს და მასში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებას.სკოლას ასევე შემუშავებული და სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული აქვს: სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი; დასაქმებულთა შრომითი მომსახურების ხელშეკრულებები და დანიშვნის აქტები ინახება თანამშრომელთა პირად საქმეებში მატერიალური სახით და ატვირთულია Eschool-ის ბაზაში. პერსონალის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას დასაქმებულების საჭიროებების დადგენისათვის შემუშავებული აქვს ფორმალური (წერილობითი) და არაფორმალური საშუალებები. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. ხარისხის მართვის ჯგუფის უკუკავშირებისა და თანამშრომელთა თვითშეფასების გათვალისწინებით განისაზღვრება პროფესიულ საჭიროებები (ტრენინგები, კონფერენციები, ვებინარები და ა.შ.). პერსონალის საჭიროებების დროულ გამოკვეთას ხელს უწყობს საგნობრივი კათედრების კოორდინირებული მუშაობა, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი და მონიტორინგის ჯგუფი. სკოლის შინაგანაწესში არის გაწერილი მუხლები, რომლებშიც ნათლად არის მოცემული ინფორმაცია დასაქმებულის სამუშაო კვირის ხანგრძლივობის, სამუშაო დროის აღრიცხვის, სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადების ან გამოუცხადებლობის შესახებ. სკოლას უზრუნველყოფილი აქვს დასაქმებულის სკოლაში არყოფნის შემთხვევაში სხვაზე ფუნქციების გადანაწილების პოლიტიკა.

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკემენტი,რომელიც მოიცავს : კადრების მოზიდვისა და შერჩევის წესს, ეტაპებს,პრინციპებს...დოკუმენტის მიხედვით, კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანტური ადგილის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით, კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. განაცხადი ქვეყნდება მასწავლებლის ვაკანსიის ვებგვერდზე. თანამშრომელთა მიღება ხდება დირექტორი ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, რომელიც წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით აფასებს თითოეულ კანდიდატს.

საკონკურსო მასალების გაცნობით (საკონკურსო სხდომის ოქმებით) დგინდება, რომ გამჭვირვალეა ვაკანტურ ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი). **თანამშრომლების პირადი საქმეების გადახედვისას აღმოჩნდა,რომ პედაგოგებს არ ჰქონდათ წარმოდგენილი ცნობები ნასამართლობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ. ინტერვიუსას სკოლის დირექციის წარმომადგენლებმა გამოთქვეს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მზაობა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. 14.11.2023-14.12.2023 პერიოდში სკოლა უზრუნველყოფს წარმოადგინოს პედაგოგების</u> ცნობები ნასამართლობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ.

ინდიკატორი 3.1.2.3 მეტწილად შესაბამისია.

4. სკოლაში სულ დასაქმებულია 45 ადამიანი. აქედან, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო საგნების სწავლებისათვის 29 მასწავლებელი. მასწავლებლები შერჩეული არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულია ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები: 1 ენისა და მეტყველების სპეციალისტი; 2 სსსმ პირის ასისტენტი. სკოლას ჰყავს 1 დირექტორის მოადგილე,1 ბუღალტერი,1 მატერიალურ -ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი,1 საქმისმწარმოებელი,1 ბიბლიოთეკარი, 1 ექიმი,2 დამლაგებელი,2 დარაჯი,1 ცეცხლფარეში. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან, ტექნიკურ პერსონალთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას. შრომითი ხელშეკრულებები დანომრილია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად და აღრიცხულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში.

ინდიკატორი 3.1.2.4.დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ხელმძღვანელის განმარტებით, სკოლა ხელს უწყობს თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვას, პერსონალს შორის მოსმენის, პატივისცემის, კომუნიკაციის კულტურის ჩამოყალიბებას სკოლაში განხორციელებული სასკოლო პროექტებითა და სხვა სახის ღონისძიებებით. კათედრების წარმომადგენლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში; ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტს.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. სკოლას აქვს მასწავლებელთა წარმატებული საქმიანობის გაზიარების პოლიტიკა. ამ მიზნით სკოლაში აქტიურად მუშაობს,,კრიტიკულ მეგობართა ჯგუფი“. ისინი საკუთარ გამოცდილებებსა და მიღწევებს უზიარებენ კოლეგებს.სკოლას აქვს გამოცდილება სპეციალური მასწავლებლის განსაკუთრებული წესით სტატუსის მინიჭებისა და პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით დაწყებითი კლასების პედაგოგის ღვაწლმოსილი მასწავლებლის ჯილდოზე წარდგენის შესახებ;

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშტატო განრიგი;
- ბრძანებები კონკურსის გამოცხადების შესახებ;
- საკონკურსო კომისიის ოქმები;
- პირადი საქმეები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები და დანიშვნის ბრძანებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია სკოლის დირექტორის, დირექტორის მოადგილის, კათედრების მოვალეობები პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის მიმართულებით. სკოლამ წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება,რომელშიც გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასების ფორმები, მასწავლებლის სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები და ა.შ.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა, მასწავლებლის სკოლაში მიღების წესის შემუშავება, მასწავლებლისთვის ტრენინგების ჩატარება. ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ ურთიერთდასწრების საფუძველზე გამოვლენილი საჭიროების მიხედვით ხდება მასწავლებლების მიერ სასურველი ტრენინგის შერჩევა, რომლის გავლაშიც დირექცია ასრულებს მხარდამჭერის როლს. სკოლის დირექცია ახორციელებს კათედრებისთვის საჭირო რესურსების შეძენას. სკოლა მასწავლებლებს უზიარებს მეთოდურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სახელმძღვანელოებს. სკოლას ჰყავს ქოუჩი მასწავლებელი, რომელიც სისტემატურად უზიარებს თავის გამოცდილებას სასკოლო პერსონალს.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში არსებობს პერსონალის კარიერულ ზრდაზე ორიენტირებული ისეთი სისტემა, რომელიც ხელს უწყობს პედაგოგების წინსვლასა და განვითარებას გამოცდილების გაზიარებით, ე.წ. ,,კრიტიკული მეგობრით", ურთიერთდასწრებით. სკოლას დირექტორის ბრძანებით მაძიებელი მასწავლებლისთვის განსაზღვრული ჰყავს ტუტორი;ასევე დამსაქმებელს ხელშეკრულებით აქვს განსაზღვრული, რომ დასაქმებულმა უნდა იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, სკოლა უწყობს ხელს პედაგოგებს დარეგისტრირდნენ მასწავლებლის სახლის მიერ გამოცხადებულ ტრენინგებზე.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით დარეგულირებულია
სასკოლო საზოგადოების ახალი წევრის ადაპტაციის პროცესი,ეტაპები,აქტივობები,ახალი თანამშრომლის სკოლაში ადაპტაციის მიზნით თანამშრომელთა ვალდებულებები... სკოლა აცნობს ახალ კადრებს სკოლაში დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს, რათა სწრაფად მოხდეს სკოლის კულტურასთან შეგუების პროცესი; ასევე სკოლა აფორმებს დასაქმებულებთან ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია (მუხლი 11.) სკოლის შინაგანაწესის გაცნობა; დასტურდება დასაქმებულის ხელმოწერით.

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლით. სკოლა გამოიყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სამართლებრივი აქტით.მაგ. სკოლის ფეისბუქგვერდის წარმოებისთვის სკოლის პედაგოგს გადაეცა ერთჯერადი ფულადი პრემია.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- შრომითი ხელშეკრულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობის მართვისთვის, მისიის გათვალისწინებით შეიმუშავებს სასკოლო სასწავლო გეგმას. ადმინისტრირების ნაწილი მოიცავს: საგანმანათლებლო პრინციპებს, საგნობრივი პროგრამების მეთოდიკურ ორიენტირებს, არაფორმალური განათლების, ინკლუზიური განათლების, მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკას, რესურსებს და სასწავლო გეგმის მონიტორინგისა და სწავლა-სწავლები ხარისხის მართვის საკითხებს. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას მართავისას იყენებს როგორც პროცესულ, ისე თვლად ინდიკატორებს. სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიური ჩარჩოს მიხედვით,სკოლის მასწავლებლები გეგმავენ საგნობრივ კურიკულუმებს, ახორციელებენ, შემდეგ იაზრებენ რა გამოუვიდათ, რა უნდა შეცვალონ და მომდევნო წლის კურიკულუმს ისე შეიმუშავებენ.

ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სასკოლო კურიკულუმში, სკოლის შინაგანაწესში, სტრუქტურული ერთეულების დებულებებში, თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში იდენტიფიცირებული და აღწერილია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; კერძოდ: კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის განვითარება და მართვა; კარიერული განვითარება; მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სერვისების განხორციელება; განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; შრომითი ურთიერთობის წარმოშობისა და შეწყვეტის წესი და პირობები, წახალისების სახეები და მათი გამოყენების წესი, სამსახურში გამოუცხადებლობის წესი, პერსონალის მატერიალური პასუხისმგებლობა, მასწავლებლის/დამრიგებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები.

აღნიშნულ პროცესებს ახორციელებენ სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია და სასკოლო საზოგადოება. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტები.

ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა თანამშრომლებს, მოსწავლეებს, მშობლებს, კანონიერ წარმომადგენლებს აძლევს გასაჩივრების უფლებას ცალკეულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი მასწავლებლის, მშობლისა და მოსწავლის შემადგენლობით. განსაზღვრულია საჩივრის დაფიქსირების, მიღებისა და განხილვის წესი. სასწავლო წლის დასაწყისში, მშობლებსა და მოსწავლეებს კრებებზე სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მიეწოდებათ ინფორმაცია სკოლის შინაგანაწესის მიხედვით შესასრულებელი რეგულაციების, მოვალეობებისა და უფლებების შესახებ. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას დადგმულია ანონიმური ყუთი , დაინტერესებულ პირებს აქვთ საშუალება დააფიქსირონ აზრი სკოლის მუშაობის შესახებ.სკოლის დირექციის წარმომადგენლების განცხადებით,ყუთი იცლება ყოველდღე. სკოლა ითვალისწინებს მათ მოსაზრებებს. სკოლის დირექტორის ბრძანებით დაამტკიცებულია ყუთის დაცლაზე და წერილების გადარჩევაზე პასუხისმგებელ პირი

ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში დასაქმებულებთან და მშობლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები; განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში დაწესებულია „მშობლის დღე“, რომლის თანახმადაც მშობლებს აქვთ შესაძლებლობა კვირის ერთ კონკრეტულ დღეს მოვიდნენ სკოლაში შვილის წარმატებებისა და გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. გასაჩივრების პროცედურას არეგულირებს სკოლის შინაგანაწესში არსებული მუხლი განცხადებისა და საჩივრის განხილვის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი;
ბრძანება სტრატეგიული განვითარების შემსწავლელი ჯგუფის შესახებ;
ბრძანება ხარისხის ჯგუფის დამტკიცების შესახებ;
სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ დირექტორის ბრძანება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სასკოლო საზოგადოების ინფორმირების საშუალებებად გამოყენებული აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებები და შეხვედრები. სკოლა აქტიურად სარგებლობს office 365 - Outlook, OneDrive, Teams, Forms-ით) და სოციალურო გვერდ Facebook-ით. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის Facebook გვერის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირი. მნიშვნელოვანი სასკოლო დოკუმენტების შემუშავების,განხილვისა და გაზიარების მიზნით სკოლას Teams -ის პლატფორმაზე შექმნილი აქვს თითოეული საგნობრივი კათედრის სამუშაო ჯგუფი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დამრიგებელს დებულებით ევალება სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, გრიფმინიჭებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სხვა.

სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელიც საჭიროებს ინფორმაციის დამატებას. თუმცა, ფეისბუქგვერდის საშუალებით უზრუნველყოფს ინფორმაციის გასაჯაროებასა და შესაბამის უკუკავშირს. სკოლას უკუკავშირის მიღების ერთ-ერთი მექანიზმია ანონიმური კითხვარების გამოყენებით მშობელთა აზრის გაგება სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე. სკოლა გეგმავს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმების გაფართოებას და დახვეწას.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში საზოგადოების ჩართულობის ხარისხის ზრდისა და კოლეგიალური ორგანოების ქმედუნარიანობისთვის ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. იქმნება დროებითი სამუშაო ჯგუფები,რომლებშიც გაერთიანებულია სასწავლო პროცესის მონაწილე ყველა სეგმენტის წარმომადგენელი. შემუშავებულია თითოეული რგოლის დებულებები, რომლებშიც გაწერილია მათი ფუნქციები, არჩევის წესი, ფუნქციონირება, უფლებამოსილებები და ა.შ.

ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მშობლის კითხვარი;

ბრძანება სკოლის ფეისბუქ გვერდის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;

ანონიმური ყუთის დაცლასა და წერილების გადარჩევაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ დირექტორის ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, საგანგებო სიტუაციებში რეაგირებასა და პირველადი დახმარების აღმოჩენას. ამ მიზნით შემუშავებული აქვს შემდეგი მექანიზმები:

- სკოლის ორივე შენობა ,რომლებიც ერთმანეთისგან დაშორებით ორ სხვადასხვა ეზოში მდებარეობს, შემოღობილია;
- უზრუნველყოფილია სკოლაში შესვლა-გასვლის კონტროლი და ვიზიტორთა აღრიცხვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით (N2/46,1/06/2022წ.)**დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,თუმცა აღნიშნული არ არის შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან.**
- შექმნილია საგანგებო რეაგირების შტაბი და გაწერილია შტაბის წევრების ფუნქციები;
- სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური.
- სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია 12 ერთეული ვიდეო კამერა (დამონტაჟებული ვიდეო კამერების პარამეტრები შეესაბამება შსს მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ პარამეტრებს და დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს);
- ვიდეო ჩანაწერის ჩვენება ხდება მონიტორზე, რომლის მუშაობას მუდმივად აკვირდება სპეციალურად გამოყოფილი პირი - მანდატური.
- მოსწავლეთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური და სადღეღამისო რეჟიმში მომუშავე 2 დარაჯი.
- **პირველადი დახმარების** აღმოჩენის მიზნით შემუშავებულია პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების

დოკუმენტი, სკოლის პირველ სართულზე განთავსებული ექიმის კაბინეტი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამის მოთხოვნებს. ოთახში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, სველი წერტილი ნიჟარით. მედიკამენტების შენახვის პირობები და მათი ვარგისიანობა დაცულია. კაბინეტში განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, სკამები, შირმა, მაცივარი, სასწორი, საათი, სამედიცინო ტახტი, კარადა, გადასატანი/მობილური ტახტი , კარადა, სადაც განთავსებულია პირველადი მოხმარების მედიკამენტები, ელექტრო და მექანიკური სამედიცინო ინვენტარი. სტანდარტთან თავსებადობის მიზნით სკოლას შექმნილი აქვს სამუშაო ჯგუფი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის,სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების მიზნით .სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფოსაქვეუწყებო დაწესებულება საგანგებოსიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს **დასკვნა** სახანძრო უსაფრთხოების შესახებ,რომლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიხედვით, **,,სსიპ ქალაქ თბილისის №2 საჯარო სკოლის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არშეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს“.** სკოლას არ აქვს შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ექსპლუატაციის შესახებ, თუმცა სკოლამ წარმოადგინა მიწერილობა შპს,,ექსპერტიზასთან“ შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. გეგმის მიხედვით, 04.09.2023-14.11.2023 პერიოდში სკოლა უზრუნველყოფს სამხარაულის სახელმწიფო სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას.</u>
<u>04.09.2023-14.11.2023 პერიოდში სკოლა უზრუნველყოფს შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციით სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებას;</u>

ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილად შესაბამისია.

2. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები, დისციპლინური დევნა და დისციპლინური წარმოების წესი, მანდატურის მიერ შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე - რეაგირების ვადები და პირობები. შენობა უზრუნველყოფილია ნათელი ოთახებით. საერთო სარგებლობის სივრცეებს შესაძლებელია მიენიჭოს გარკვეული ფუნქციური დატვირთვა. სკოლაში არის დარბაზი, ბიბლიოთეკა, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი, კომპიუტერული და ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიები, სკოლის ეზოში მოწყობილია ღია სპორტული მოედანი. სკოლაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული-მრჩეველთა საბჭო, რომლის კომპეტენციაა სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სხვადასხვა რეკომენდაციის შემუშავება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა. სკოლის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის,სანიტარულ -ჰიგიენური ნორმებისა და ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი3.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას: ჰყავს ფსიქოლოგი; სკოლის ხელმძღვანელის თქმით,დამრიგებლები ატარებენ კლასის საათს , რომლებზეც განხილული თემატიკა მოიცავს სკოლაში ემოციურად უსაფრთხო გარემოს ფორმირების საკითხებს.სკოლის მიერ წარმოდგენილ სადამრიგებლო პროგრამას აქვს ცხრილის ფორმა, რომელშიც გაწერილია წლის განმავლობაში გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი. სკოლის ინფრასტრუქტურა, დიდი,ნათელი საკლასო ოთახები, ეზო და დერეფნები ხელს უწყობს შესვენებაზე მოსწავლეების სოციალიზაციას. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს სამუშაო ჯგუფს, რომელიც შექმნის ,,ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნის" მექანიზმის შესახებ დოკუმენტს ;

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ წარმართვისთვის სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლის ექიმი პასუხისმგებელია სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე, რომელიც დასტურდება ექიმის შრომითი ხელშეკრულებით. სკოლა არის სამსართულიანი და ყველა სართულზე ცალ-ცალკე განთავსებულია სველი წერტილი გოგონებისთვის/ვაჟებისთვის და ადაპტირებული სველი წერტილი. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, არის ონკანები, ნიჟარები, თხევადი საპონი.
სკოლის საშტატო ნუსხით სკოლას ემსახურება 3 დამლაგებელი.
საყოფაცხოვრებო საწმენდი საშუალებები, თხევადი საპონი, სადეზინფექციო საშუალებები, ინახება ჩაკეტილ ოთახში.

ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია

5. სკოლას დოკუმენტად შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და დამტკიცებული აქვს მონიტორინგის მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს მონაცემთა დაცვის პრინციპებს, პერსონალური მონაცემების დამუშავების წესს და განსაზღვრავს მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირებსა და მათ უფლებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; სკოლის დირექციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას აღინიშნა,რომ სკოლა ზრუნავს მშობლებისა და მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე. 2023 წელს მშობლებისა და მოსწავლეებისთვის ჩატარდა ტრენინგი ,,ყალბი ინფორმაციის ამოცნობა" და კომპიუტერული ვირუსების შესახებ. შექმნილია ციფრული განვითარების გეგმა, სადაც გაწერილია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები,სკოლაში დაინსტალირებულია ანტივირუსული პროგრამები,სკოლა მუშაობს ლიცენზირებული პროგრამებით.სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი ,რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია მონაცემთა უსაფრთხოების მექანიზმები (მუხლი 13),თუმცა სკოლას არ აქვს შემუშავებული ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურები.

ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია.

7. სკოლა მანდატურების დახმარებით ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების შეფასებას. სკოლა თვითმმართველობის დახმარებით გეგმავს მოსწავლეთა შორის ძალადობის და ბულინგის მართვას. ასევე სკოლის დირექტორი სასწავლო წლის ბოლოს სასკოლო საზოგადოებას წარმოუდგენს უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს მუშაობის ანგარიშს. უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად და ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის მიზნით დირექტორის ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი,რომელიც 2023-2024 სასწავლო წელს შექმნის ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირებისათვის დოკუმენტს.

ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია.……

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულებები: ექიმთან, დარაჯებთან, დამლაგებლებთან;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- **დასკვნა** სახანძროუსაფრთხოების შესახებ;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- დისციპლინური კომიტეტის ოქმი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლას აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურული რესურსი, რომ განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე.სკოლა მდებარეობს ქალაქ დედოფლისწყაროში. სკოლაში სასწავლო პროცესი ფუნქციონირებს ორ ერთმანეთისგან დაშორებულ ეზოსა და შენობაში.ერთი შენობა არის 3-სართულიანი და მასში განლაგებული არიან V-XII კლასები(შემოღობილია და დაცულია უსაფრთხოების ნორმები),მე-2 შენობაში - I-IV კლასები(ასევე შემოღობილია და დაცულია უსაფრთხოების ნორმები).პირველი კორპუსი ნახევრად რეაბილიტირებულია, მეორე სრულად 2007 წელს. პირველ კორპუსი არ არის გაზიფიცირებული და არ არის ინტერნეტი(გაათბობისთვის გამოიყენება ბრიკეტის ღუმელები), მეორე კორპუსი გაზიფიცირებულია.

უძრავი ქონების საკადასტრო ნომერია N 52.08.32.105

ნაკვეთის დაზუსტებული ფართობია:6447,00კვ.მ. შენობა-ნაგებობის საერთო ფართია: 2198,5კვ.მ.II .

სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ქონება სახელმწიფოსგან უვადოდ.

სკოლის პირველ კორპუსში პირველ სართულზე განთავსებულია კვების ობიექტი, მანდატურის სამსახურის კაბინეტი,ექიმის ოთახი, სპორტის დარბაზი,სველი წერტილები გოგოებისათვის/ვაჟებისათვის და ადაპტირებული სველი წერტილი; მეორე სართულზე განთავსებულია დირექტორის ოთახი, კანცელარია, რესურს ოთახი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, სველი წერტილები, საკლასო ოთახები, ფიზიკის კაბინეტი, ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტი და საკლასო ოთახები; მესამე სართულზეც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განთავსებულია საკლასო ოთახები.სკოლის ორივე კორპუსში მოწყობილია 12 საკლასო ოთახი; სკოლის ეზოში არის ახლად რეაბილიტირებული ღია სპორტული მოედანი.

მოსწავლეები გადაადგილდებიან კიბეების საშუალებით. სკოლის ინვენტარი აკმაყოფილებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N572 (09/08/2011) ბრძანებით დამტკიცებულ რეკომენდაციებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე.

ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. ნათელი საკლასო ოთახების გარდა, სკოლაში არის სააქტო დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი, სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო და სხვა. საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხიანად წარმართვისთვის შექმნილია ყველა ძირითადი პირობა, გაწერილია კომპიუტერული ლაბორატორიითა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. skolaSi Seqmnilia პირობები inkluziuri ganaTlebis ganlsaxorciielebladsa: სკოლის პირველ სართულზე ფუნქციონირებს რესურს ოთახი, პანდუსი, პირველსართულზე არის განთავსებული ადაპტირებული სველი წერტილი (რომლებიც აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილების -,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის“-27-ე მუხლის მოთხოვნებს). შშშმ პირი ვერ შეძლებს ბიბლიოთეკით სარგებლობას,ვინაიდან ბიბლიოთეკა განთავსებულია მეორე სართულზე.

ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებულია

4. შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. დერეფნები, სკოლის ეზო, ღია სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები: ეწყობა პრეზენტაციები,ინტელექტუალური თამაშები, ტრენინგები. შენობაში განთავსებული სივრცე მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თვითმმართველობამ და ეკო კლუბმა საგრანტო პროექტის საშუალებით აღჭურვეს ,,პუფებით"და სხვადასხვა რესურსით. გარე სივრცე ასევე საგრანტო პროექტში მოპოვებული თანხით მოეწყო. სკოლის ბიბლიოთეკარის თქმით,სკოლის ბიბლიოთეკა-დაწყებითი კლასების საყვარელი სივრცეა ღონისძიებისათვის.ყოველწლიურად ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლებისთვის.

ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. swavla- swavlebis procesSi skola sagnobrivi kurikulumebis gansaxorcieleblad iyenebs rogorc sagnobriv saxelmZRvaneloebs, aseve damatebiT sxva saganmanaTleblo resursebs: kompiuterebi, proeqtorebi, saWadrako dafa,რუკები, sssm moswavlebis saWiroebidan gamomdinare resursebi da sxva. რომლებიც ადგილზე დათვალიერების დროსაც იქნა წარმოდგენილი. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია პრინტერი, პროექტორი და ლეპტოპები. საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების განხორციელებისთვის სკოლას აქვს ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის კაბინეტები. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, შემუშავებულია წიგნის მოვლის წესი, ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმა, ბიბლიოთეკის დებულება,ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ბიბლიოთეკაში არის 4590 ერთეული მხატვრული,მეთოდური ლიტერატურა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახელმძღვანელოების დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლის წიგნადი ფონდი დამუშავებულია და გატარებულია ჟურნალში წესების დაცვით.

ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- ბიბლიოთეკის გეგმა;
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- წერილი შპს,,ექსპერტიზასთან“ შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო დროს. სკოლას აქვს 4 ლეპტოპი, 14 სამაგიდო კომპიუტერი(2015 - მიღების წელი. კომპიუტერები არის ძალიან მოძველებული და ცუდად მუშაობს), 1 პროექტორი(სკოლას გადმოეცა გრანტით 2013 წელს), 5 პრინტერი(2012წ - 2014წ). სკოლა ხელს უწყობს მოსწაავლეებში სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმის(office 365, Teams, Forms, OneDrive, Gmail, Messenger, Facebook, ელექტრონული ჟურნალი) მიზნობრივი გამოყენების უნარის განვითარებას. შემუშავდა სკოლის ციფრული განვითარების 2023-2024 სასწავლო წლის გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლა ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენ მასწავლებელსა და მოსწავლეს არ აქვს სახლში ელექტრონული კომუნიკაციისთვის რაიმე სახის ტექნიკა. სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა ციფრული განვითარების გეგმა, რომლის მიხედვით დადგენილია სასკოლო სივრცეში საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის. კომპიუტერულ ლაბორატორიაში შემუშავებულია განრიგი და სარგებლობის წესი.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;

სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციისა და სარგებლობის წესი.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. შემუშავებულია საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი.სკოლაში დასაქმებულია საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას დადგენილი საქმისწარმოების ინსტრუქციის მიხედვით.სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (eflow) მეშვეობით. სკოლაში შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით იწარმოება საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალი, საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები, რომელიც ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური აქტით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვა სახის გადაწყვეტილებები, სკოლაში ასევე წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებული. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლა ასევე იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. კერძოდ, e-flow,Office365, eSchool. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვისა და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში. სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე კი - ინფორმაციებისა და დოკუმენტი მიიღება.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, სკოლას სრულყოფილად ასახავს ინფორმაციებს განათლების მართვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საინფორმაციო სისტემაში (თანამშრომელთა მონაცემები, მასწავლებელთა სტატუსები, მოსწავლეთა მონაცემები და ა.შ).

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
- საქმისწარმოების წესი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
- სკოლის ელექტრონული ფოსტა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელშიც გაწერილია ვიზიტორებისა და შიდა შეხვედრების,გარე შეხვედრებისა და აქტივობებში ჩართულობის, მოტივაციის ამაღლებისა და ინიციატივების ხელშეწყობის,შიდა და გარე კომუნიკაციის(მოსწავლეებთან,მშობლებთან..) აქტივობები,მექანიზმები და სხვა ძირითადი საკითხები. გარდა აღნიშნულისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის გამოყენებულია სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალება: საინფორმაციო შეხვედრები (როგორც პირისპირ რეჟიმში, ასევე ონლაინ პლატფორმაზე), ელექტრონული ჟურნალი, სატელეფონო ზარი, სატელეფონო შეტყობინება, ელექტრონული ფოსტა და სოციალურ ქსელი.სკოლას აქვს ფეისბუქ გვერდი, რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. გვერდი გამოიყენება სასკოლო საზოგადოებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად. (მაგალითად: დაგეგმილი სამეურვეო საბჭოს არჩევნების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;წარმატებული გამოცდილების გაზიარებისთვის, საკლუბო მუშაობისა და სასწავლო პროექტების გასაშუქებლად. სკოლას აქვს მასწავლებელთა მესენჯერის ჯგუფები, რომლებიც საუკეთესო საშუალებაა სიახლეების გასაცნობად და სწრაფი კომუნიკაციისთვის.

   სკოლას აქვს ვებ გვერდი:
   https://skolebi.emis.ge/schools/1258?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%20%E1%83%93%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1%20%E2%84%962%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90

ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების ადმინისტრირება ხორციელდება კონკრეტული პირების მიერ. სკოლის ფეისბუქ გვერდის წარმოებასა და მასალების განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი დირექციასთან შეთანხმებით განათავსებს ამა თუ იმ ინფორმაციას. დირექცია თავის მხრივ ეყრდნობა ამ ინფორმაციის დამადასტურებელ მასალას, იქნება ეს ფოტოები, სიგელები, დიპლომები თუ სხვა.
სკოლამ წარმოადგინა ციფრული განვითარების 2023-24 წლის გეგმა.
ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.

3.სკოლა თავისი საქმიანობის შესახებ უკუკავშირს იღებს კითხვარებიდან, მშობელთა კრებებიდან, სოციალური ქსელიდან, მესენჯერ ჯგუფებიდან. კლასის დამრიგებლების მიერ ხდება ინფორმაციის გადასინჯვა, დირექციის წარმომადგენლებთან ერთად გამოწვევების შესწავლა. მაგალითად, მიმდინარე სკოლის ინიციატივით არასამთავრობო საზოგადოების მიერ ჩატარდა სამეტაპიანი ღონისძიება „მშობლები განათლებისთვის“. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ამ მიმართულებით უფრო მასშტაბური ღონისძიებების განხორციელებას. სკოლამ საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად გამოიყენა ელექტრონული კითხვარი მშობლებისთვის.

ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/1258?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%20%E1%83%93%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1%20%E2%84%962%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90
რომელზეც ქართულ ენაზეა განთავსებული ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების შესახებ. ვებ გვერდი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 3.6.3.4. დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულების მოქმედი ვებ გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა,შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,პროგრამების სახელწოდება. სკოლის დირექციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას აღინიშნა,რომ სკოლა უზრუნველყოფს ვებ გვერდზე შემდეგი ინფორმაციის დამატებას: პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები...

ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ვებ გვერდი;
მშობლის უკუკავშირის ფორმა;
მშობლების კითხვარი;
სკოლის ფეისბუქ გვერდის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ დირექტორის ბრძანება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის განმარტებით, სამოქმედო გეგმის შესყიდვების ნაწილი შედგენილია სკოლის ფინანსების გათვალისწინებით. ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად.

ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს როგორც სავარაუდო შემოსავლებს, ისე სკოლის საჭიროებისთვის განსაზღვრულ ხარჯებს. ბიუჯეტის შემუშავება ხდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. თითოეული სტრუქტურა, სამსახურებრივი ბარათით აწვდის ინფორმაციას დირექციას საჭირო შესასყიდის შესახებ. ხარჯვით ნაწილში დაგეგმვა ხდება მონიტორინგის საფუძველზე, რაც მოიცავს სკოლის თითოეული კათედრის, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების, ბიბლიოთეკარის, ასევე სკოლის ექიმის, სკოლის მანადტურების, ტექნიკური პერსონალის ჩართულობას. მათ მიერ სკოლის დირექციას წარედგინება მომდევნო წლის განმავლობაში საჭირო რესურსების შეძენის მოთხოვნა, რომელიც მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მხედველობაშია მიღებული. ბიუჯეტის დაგეგმვისას, ასევე, გათვალისწინებულია გასული წლების გამოცდილება შესყიდვების მიმათულებით. მაგალითად, საკანცელარიო საქონლის, ინკლუზიური განათლების რესურსების, სპორტული საქონლის, ჰიგიენური საქონლის და ა.შ . შეძენის მიხედვით.შემოსავლების ნაწილში ხდება გათვალისწინება როგორც ვაუჩერული დაფინანსების (მოსწავლეთა სავარაუდო რაოდენობის მიხედვით), ისე ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები სავარაუდო შემოსავლების (იჯარა და ბანკის სარგებლის პროცენტი) . წლის ბოლოს ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარედგინება სამეურვეო საბჭოს,რომლის შემადგენლობაში შედის სასკოლო საზოგადოების ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმომადგენელი-მასწავლებელი,მოსწავლე , მშობელი და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი. წლის ბოლოს ასევე წარდგება წლიური ფინანსური ანგარიშგება განათლების სამინისტროსთან.

ინდიკატორი 3.7.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის დირექტორისა და ბუღალტრის განმარტებით, სკოლას აქვს ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა. სკოლის დირექცია და სტრუქტურული ერთეულები ბუღალტერთან ერთად აანალიზებენ ბიუჯეტს და მომზადებული ბიუჯეტის გეგმის პროექტს განსახილველად წარუდგენენ სამეურვეო საბჭოს წევრებს. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა.

ინდიკატორი 3.7.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტი;
ბრძანება შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ;
ბრძანება შესყიდვების წლიურ გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ;
შესყიდვების გეგმა;
იჯარის ხელშეკრულება;
სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა ბრძანებით დამტკიცებული.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სასწავლო პროცესის მართვის რეგულაციები თავისი მკაფიო, ნათელი ფორმულირებებით ითვალისწინებს ხარისხიანი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას, სკოლის მართვაში ჩართულობას, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ინფორმირებულობას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, გასაჩივრების უფლების გამოხატვის, შეკრების, გაერთიანებების, საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის რწმენის თავისუფლების უპირატესობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განსაზღვრავს მათი რეგულირების წესებსა და პირობებს, როგორც მოსწავლის სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის წესებსა და პირობებს, ისე კონფლიქტის რეგულირების, მოსწავლის უკუკავშირისა და სხვა მიმდინარე პროცესების რეგულაციებს. სკოლის მისია და ხედვა პასუხობს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის ხედვაშიც გათვალისწინებული მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები, მასწავლებლების პროფესიული განვითარების პირობები.
შინაგანაწესი, მოსწავლეთა ქცევის კოდექსი და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება საშუალებაა უფლებების ცოდნისა და დაცვის. შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა.
ინდიკატორი 4.1.1.1.დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას. დირექციის წარმომადგენლებმა ინტერვიუში აღნიშნეს,რომ მოსწავლისა და მშობლის მონაწილეობით ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებებზე, კლასის საათებზე, ღია კარის შეხვედრებზე სკოლა უზრუნველყოფს მათი უფლებებისა და მოვალეობების, შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისებისა და დისციპლინური დევნის რეგულაციების გაცნობას, საკლასო წესების შემუშავებას. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშია მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი. საჯაროდ განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია პირებისა და ორგანოების, რომლებიც უზრუნველყოფენ რეაგირებას უფლების დარღვევის შემთხვევაში. სკოლა დირექტორის ბრძანებით დაამტკიცებულია ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს ,,ბავშვთა უფლებების კოდექსის“მიხედვით გასაჩივრების დეტალურ პროცედურებს.სკოლაში დისციპლინური გადაცდომის შემთხვევებს შეისწავლის დისციპლინური კომიტეტი.
ინდიკატორი 4.1.1.2.დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადებში და პირობებით ხდება მოსწავლეთა ჩარიცხვა. ჩარიცხვის ეტაპზე ხდება მშობელთან /მის კანონიერ წარმომადგენელთან კანონმდებლობით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმება. მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ყველა ხელშეკრულება არის განახლებული .ხელშეკრულების მოქმედების ვადად მითითებულია საშუალო საფეხურის დასრულებამდე პერიოდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხელშეკრულებები სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის;
მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი;
შინაგანაწესი;
მრჩეველთა საბჭოს ოქმი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. კლასისა და საფეხურის დაძლევა განსაზღვრულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასკოლო სასწავლო გეგმით. სკოლაში არსებობს პასუხისმგებელი პირი (სკოლის საქმისმწარმოებელი),რომლის ვალდებულებაა აწარმოოს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა (პირველკლასელთა რეგისტრაცია, მოსწავლეთა მობილობა, სტატუსის შეჩერება/აღდგენა და ა.შ) სკოლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში (Eschool.emis.ge); კლასის დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა გაცდენების მონიტორინგს. სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, კერძოდ, იმ კანონმდებლობისა, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას, საფეხურის დაძლევას, სტატუსის შეჩერებასა თუ აღდგენას.პირველკლასელთა ადრეული რეგისტრაციის პროცესში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა ხდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე.

ინდიკატორი 4.1.2.1.დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის ვადების დაცულია. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამებისა და მათი სპეციფიკის მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას, მათ შორის, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ.სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების, სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია. სკოლას არ აქვს ფასიანი წრეები. იჯარით აქვს გაცემული ფართი ცეკვის სტუდიაზე. სკოლას აქვს უფასო კლუბები, წრეები. კლუბების შესახებ ინფორმაცია არის სასკოლო სასწავლო გეგმაში და ბავშვებისთვის ხელმისაწავდომია კლუბის ხელმძღვანელის მიერ. განხორციელებული აქტივობების ფოტოები გაზიარებულია სკოლის ფეისბუქ გვერდზე.დირექტორის განცხადებით, კლუბებსა და წრეებზე დაინტერესებულ მშობელს შეუძლია სკოლას მიმართოს განცხადებით და სკოლიდან მიიღებს შესაბამის წერილობით ინფორმაციას.

ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სკოლა ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებს სოციალურ ქსელს,teams-ის პლატფორმას.
დამრიგებლების საშუალებით მშობელს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სკოლის სერვისების შესახებ. ექსპერტების მიერ ნანახი ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე ,განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორი 4.1.2.4.დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხელშეკრულებები მშობელთან:
- დამრიგებლის პროგრამა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შემუშავებულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია ახალი მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის შემდეგი პოლიტიკა: მშობლის კონსულტირება, მობილობით გადმოსულ მოსწავლესთან გასაუბრება, კლასში მოსწავლის წარდგენის რიტუალი. კლასის დამრიგებელი სწავლის დაწყებისას მოსწავლეს აცნობს სკოლის ინფრასტრუქტურას, სასკოლო საზოგადოებას , შინაგანაწესით განსაზღვრული წესებს. სადამრიგებლო პროგრამებში გათვალისწინებულია თემები მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებზე. სკოლა პირველკლასელი მოსწავლეების ადაპტაციისთვის ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას: სკოლაში პირველკლასელებისთვის სასწავლო წლის პირველ დღეს ეწყობა სადღესასწაულო შეხვედრა, დირექცია საზეიმოდ გადასცემს მოსწავლეებს ბუკებს, მასწავლებელი აცნობს სკოლის გარემოს, მასწავლებლებს, თანაკლასელებს.სკოლა ეხმარება ადაპტაციაში მოსწავლეს სხვა სკოლიდან გადმოსვლის დროს. ხდება მშობელთან, ბავშვთან შეხვედრა, ინფორმაციის მიღება, სკოლის, კონკრეტული კლასის, მასწავლებლების და თანატოლების გაცნობა.სპეციალური მასწავლებლის ორგანიზებით 2023 წლის თებერვლის თვეში შედგა და ხორციელდება ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

ინდიკატორი 4.2.1.1.დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლა აქტიურადაა ჩართული მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში. მოსწავლე მხარდაჭერას იღებს მასწავლებლისგან განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე, რისთვისაც სკოლის რეგულაციებში განსაზღვრულია მოსწავლისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით). მოსწავლის ან მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან შემოსული მომართვის შემთხვევაში გათვალისწინებულია დახმარების შემდეგი ფორმები: დამატებითი მეცადინეობა, კონსულტაციები (ვადებისა და ფორმის მითითებით) და სხვა. განსაზღვრულია პირველკლასელთა ფიზიკურ გარემოში ადაპტაციის პოლიტიკაც - ტარდება შეხვედრები მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, ეცნობიან შიდა რეგულაციებს, არსებული რესურსებით სარგებლობის წესებს, ფორმალური და არაფორმალური განათლების შესაძლებლობებს.

ინდიკატორი 4.2.1.2.დაკმაყოფილებულია.

3. კლასის დამრიგებელი და საგნის მასწავლებლები სისტემატურად უწევენ მონიტორინგს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს. ამ მხრივ ყურადღება ექცევა, ერთი მხრივ, ნაკლებად მოტივირებულ მოსწავლეებს, რომლებიც დამატებით ჩარევას საჭიროებენ, და, მეორე მხრივ, მოსწავლეებს, რომლებსაც სთავაზობენ სტანდარტზევით სასწავლო მასალას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების აკადემიური უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით სპეციალური მასწავლებელი ქმნის ხელნაკეთ რესურს და სთავაზობს მრავალფეროვან აქტივობებს, საჭიროების მიხედვით მხარდაჭერას უწევს მასწავლებლებს და სთავაზობს სტრატეგიებს მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 4.2.1.3.დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულება საკუთარი სერვისების მიწოდებით ხელს უწყობს მოსწავლის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებას. დაწესებულების მიერ სერვისების გაწევა ხდება რეალისტურ ვადებში. მოსწავლეები სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ერთ-ერთ გზად თვითმმართველობას იყენებენ. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ორგანიზების მხარდაჭერას.

ინდიკატორი 4.2.1.4.დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. სკოლა აქტიურად არის ჩაბმული არაფორმალური აქტივობების განხორციელებაში. სკოლაში ფუნქციონირებს მეწარმეობის კლუბი, ეკოკლუბი, ჭადრაკის წრე, ფრენბურთის წრე. სკოლაში ,,იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის'' ფასილიტატორების მიერ შექმნილია მეწარმეობის კლუბი და ეკოკლუბი ,,შექმენი მომავლი''. ფასილიტატორები გადამზადებულები არიან არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის" მიერ. სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული არასამთავრობო ორგანიზაციებთან. კერძოდ, მეწარმეობის კლუბს ,,საგას''-თან და ,,ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან''. მეწარმეობის კლუბი თანამშრომლობს ,,USAID''-თან. ეკოკლუბის წევრები ჩართული არიან გარემოს დაცვის აქტივობებში და პროექტში-,,ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია". მოსწავლეები კლუბის ფარგლებში წერენ და ახორციელებენ საგრანტო პროექტებს, საგრანტო პროექტების საშუალებით მოეწყო შიდა და გარე სივრცე შეხვედრებისათვის, სკოლის ბიბლიოთეკისთვის 500 ლარიანი ვაუჩერით შეივსო წიგნადი ფონდი, სასკოლო ღონისძიებისა და საგანმანათლებო მიზნებისთვის მოგებული ვაუჩერით განხორციელდა აუდიო აპარატურის შეძენა.

ინდიკატორი 4.2.1.5.დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა მოსწავლეთა კმაყოფილებას იკვლევს სკოლაში განთავსებული ,,ანონიმური ყუთით", რომელშიც ყველა მოსწავლეს შეუძლია საკუთარი აზრი დააფიქსიროს. სკოლას ბრძანებით ჰყავს დამტკიცებული ანონიმური ყუთიდან ინფორმაციის მიღებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა მიღებულ ინფორმაციას ამუშავებს და იღებს შესაბამის ზომებს. სკოლამ საჭიროებების შესწავლის მიზნით ჩაატარა მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვა. ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, გამოკვეთა პრიორიტეტული საჭიროებები, რომლებიც ასახა სასკოლო სასწავლო გეგმაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი;

დირექტორის ბრძანება ანონიმური ყუთის დაცლისა და წერილების გადარჩევაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ;
მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო და საშუალო საფეხურის სადამრიგებლო პროგრამებით გათვალისწინებულია ცალკეული პროფესიების გაცნობა და ამ მიზნით სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მოწვევა. ხშირია ექსკურსიები სხვადასხვა საწარმოში და XI- XII კლასის მოსწავლეების შეხვედრები პროფეიული კოლეჯებისა და უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან. კლასის დამრიგებლები აწყობენ სკოლის მოსწავლეების ექსკურსიებს მუნიციპალიტეტში არსებულ დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, ბავშვები ადგილზე ეცნობიან კონკრეტულ პროფესიულ საქმიანობებს, ღებულობენ მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხებს. 2023 წლის მაისის თვეში სკოლაში მოწვეული იქნა პროფესიული სასწავლებლის ,,აისი''-ს წარმომადგენელი.. სკოლამ პროფესიულ სასწავლებელთან ,,აისი'' გააფორმა მემორანდუმი და სკოლის მე-7, მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეები შეძლებენ სამი პროფესიის: კულინარია, ელექტროობა და თექის დაუფლებას.

ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. დირექტორის განმარტებით, სკოლის პოლიტიკაა ინფორმირებული იყვნენ მოსწავლეები და მშობლები შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სთავაზობს მათ ინფორმაციას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და აცნობს მათ დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს.სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეები სტუმრობენ მუნიციპალიტეტში არსებულ საგანმანათლებლო ცენტრის ,,სპექტრში'' განხორციელებულ უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრებს.

ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. კლასის დამრიგებლები სკოლადამთავრებულ მოსწავლეებისგან იღებენ ინფორმაციას სკოლის შემდგომი განათლების, არჩეული პროფესიის შესახებ. სკოლა სამომავლოდ გეგმავს კურსდამთავრებულების მოპატიჟებას, თავიანთი გამოცდილების გაზიარებას საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის, რაც გაზრდის მოსწავლის მოტივაციას.სკოლა ასევე გეგმავს კვლევის ჩატარებას საბაზო და საშუალო საფეხურზე თემაზე, თუ რამდენად დაეხმარა ან ეხმარება მოსწავლეს სკოლაში სერვისი თავისი უნარებისა და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევნის გაკეთებაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში.

ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ა(ა)იპ საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციასა და დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლას შორის;
სადამრიგებლო პროგრამა;
კითხვარი მშობლებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა კანონმდებლობით და რეკომენდაციებით განსაზღვრულ საკითხებს ახორციელებს თითოეულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახულია აქტივობები, შინაარსი, პასუხისმგებელი პირები და განხორციელების დრო. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის დირექტორი სპეციალურ მასწავლებლებთან, ენისა და მეტყველების სპეციალისტთან და პერსონალურ ასისტენტებთან აფორმებს ხელშეკრულებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფები დგება, როგორც სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის გამოვლენისთანავე. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასება ხდება სასწავლო წლის დასაწყისში და წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს გამოვლენილი საჭიროებისამებრ. ისგ ჯგუფის სხდომები ტარდება წელიწადში 4-ჯერ და დამატებით როდესაც არის განსაკუთრებული საჭიროება. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები ვერბალურად და წერილობით ახორციელებენ სსსმ მოსწავლის მშობლებთან კონსულტირებას. სპეციალური მასწავლებლები უზრუნველყოფენ მასწავლებლების კონსულტირებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით.ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი მონიტორინგს უწევს სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესს და ასახავს დასკვნაში. სკოლა ბიუჯეტში ითვალისწინებს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით შესაბამის თანხებს. სკოლის ორივე შენობაშია სსსმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეების საჭიროებების და შესაძლებლობების გათვალისწინებით აღჭურვილი რესურს ოთახი მრავალფეროვანი, განმავითარებელი რესურსით, კომპიუტერით, პრინტერით, ავეჯით და წიგნებით. რესურს ოთახში მიმდინარეობს მუშაობა ინდივიდუალური განრიგის და მოსწავლეთა საჭიროების მიხედვით.

ინდიკატორი 4.2.3.1დაკმაყოფილებულია.

2. . სკოლაში არის 11 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, მათი სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სკოლაში მუშაობს 2 სპეციალური მასწავლებლი, 1 ენისა და მეტყველების სპეციალისტი და 2 პერსონალური ასისტენტი. მოსწავლესთან სამუშაოდ სკოლაში არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი.ინდივიდუალური სამოქმედო გეგმების შედგენასა და განხორციელებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების დიდი ნაწილი. ისგ ჯგუფის ერთობლივი მუშაობა და მიზნობრივი ინტერვენციები მიმართულია მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
ისგ ჯგუფის ოქმები;
ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ოქმი;
მოსწავლის ინდივიდუალური ტრანზაციის დოკუმენტი;
სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
რესურსოთახში მუშაობის განრიგი;
მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის იდენტიფიცირებისა და პირველადი მართვის დოკუმენტი.
სპეც მასწავლებლის რეკომენდაცია საგნის მასწავლებლებს;
ინდ.განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა.
ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება;
მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების ფორმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ტრანსპორტირების და კვების სერვისი, რომლებიც ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან უფლების მიღების საფუძველზე. სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებისას დაცულია უსაფრთხოება. სკოლაში გამოყოფილია ადამიანი, ვინც პაუხისმგებელია მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე, წაყვანასა და მოყვანაზე, აღრიცხვაზე. სკოლის ბუფეტში დაცულია ჰიგიენა .სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც იღებს მონაწილეობას სტანდარტით გათვალისწინებული სანიტარული ნორმების დაცვაში. სკოლას არ აქვს გახანგრძლივებული სწავლება.

ინდიკატორი 4.2.4.1.დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის დამატებითი მომსახურება, არაფორმალური განათლების წრე წარმოადგენს სკოლის სასწავლო გეგმის ნაწილს, რომელიც შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. სკოლაში იჯარით შემოსულია ცეკვის სტუდია. მოსწავლეების საჭიროების გათვალისწინებით მოხდა სკოლის მიერ სტუდიისთვის ნებართვის გაცემა. დამატებითი სერვისების მიღება განიხილება სამეურვეო საბჭოზე.

ინდიკატორი 4.2.4.2.დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ითვალისწინებს უსაფრთხოების ყველა იმ ნორმის დაცვას, რომელიც მოსწავლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს და მისი ინტერესების საფუძველზეა შეთავაზებული.

ინდიკატორი 4.2.4.3.დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამეურვეო საბჭოს ოქმი იჯარით გაცემულ ფართზე;
ექსკურსიის მძღოლის დოკუმენტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

დაწყებითი საფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება) დაწყებითი საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის კურიკულუმები აგებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პრინციპებისა და მეთოდიკური ორიენტირების შესაბამისად. პედაგოგები სკოლისა და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ, კათედრებზე კოლეგიალურად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კურიკულუმების შედგენისას, ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, დიფერენცირებული მიდგომები და სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომელიც ჩანს სასკოლო სასწავლო გეგმაში. სამოქმედო გეგმაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა განხილულია, როგორც ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანა და მის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განსახორციელებლად დასახულია მთელი რიგი აქტივობები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ დაწყებითი საფეხურის საგნების კათედრის წევრები სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებენ კოლეგებს, დირექციას, მშობლებს და მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებენ საკითხების, რესურსების, კომპლექსური დავალებების შერჩევისა თუ ცვლილებების განხორციელებისას. კურიკულუმის შემუშავების პროცესში, დავალებებისა და აქტივობების დაგეგმვისას უპირველესად გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესი. მშობელთა ჩართულობა ხდება მშობელთა კრებების, ასევე სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით და მათგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით.

ინდიკატორი2.1.1.2.დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ კათედრებზე და მასში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ სკოლასა და მოსწავლეზე ორიენტირებულ კურიკულუმებს, რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება, აგრეთვე მათი ინტერესები. მასწავლებლები კათედრაზე თანამშრომლობენ, იზიარებენ გამოცდილებასა და ინტერესებს. სასწავლო პროცესს გეგმავენ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების შესაბამისად, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე და ორიენტირებულები არიან მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. კათედრებზე განხილული ანგარიშების საფუძველზე ხდება გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების გზების ძიება და სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა. სკოლაში ხორციელდება კომპლექსური დავალებების რეფლექსია, რომელიც განიხილება საგნობრივ კათედრებზე და იკვეთება ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც გათვალისწინებულია კურიკულუმის შემუშავების დროს. თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. თითოეულ კათედრაზე, მასწავლებლები საკუთარი კლასის მოსწავლეთა მშობლებს სასწავლო წლის მანძილზე აცნობენ კურიკულუმში გაწერილ საკითხებს. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. საგნობრივი კურიკულუმის გაზიარება ხდება სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო საშუალებებით: სასკოლო ელექტრონული სივრცის მეშვეობით, სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებით, კითხვარები მშობლებისათვის და სხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის, ელექტრონული ფოსტით, ნაბეჭდი მასალით, სოციალური მედიით, საიდანაც უკუკავშირის სახით იღებს წინადადებებს, შენიშვნებს,რეკომენდაციებს. ამავე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიზნით სკოლაში ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის მშობლებთან და კოლეგებთან შეხვედრები. პედაგოგები მშობლების ინფორმირებულობისათვის იყენებენ ინდივიდუალურ შეხვედრებს, მშობლის ბარათებს.

ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- მშობელთა კრების ოქმი
- სადამრიგებლო პროგრამა
- კომპლექსური დავალების ბარათები მშობლებისთვის
- თვითშეფასების განაცხადი
- პედაგოიური საბჭოს სამუშაო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- სსსმ მოსწავლის მონიტორინგის ფორმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- კომპლექსური ბარათები (მშობლებისთვის).
- კითხვარი მშობლებისთვის

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ არ შეესაბამება

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, არის მოსწავლეზე ორიენტირებული, მათი ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული (რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებში). კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რომელშიც ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. პედაგოგების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედურ მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსი და როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება.

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე

ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. საფეხურის კათედრაზე გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა გააზრებულია, ერთი მხრივ, ფუნქციურ უნარებზე, მეორე მხრივ, კი სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული საკითხების დამუშავებით. ინტერვიუს საფუძველზე, ნათლად ჩანს, რომ მასწავლებლები არჩევენ კონტექსტ-მაგალითებს, კომპლექსური დავალების იდეას /პირობას და შესაბამის რესურსებს, დაგეგმილი პროცესი საინტერესო და მიზანმიმართულია, რაც ასევე იძლევა საშუალებას გააქტიურდეს მოსწავლის გლობალურ-ფუნქციური უნარები. მათ გააზრებული აქვთ რომ კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნას/ პრობლემის გადაჭრას მიუდგეს შემოქმედებითად, გუნდური მუშაობის დროს ჩამოუყალიბდეთ თანამშრომლობითი უნარები, ხოლო დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიციური სტრატეგიების გამოყენება აყალიბებს მის ხასიათსა და პიროვნებას.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები გათვლილია მაღალი, დაბალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ დიფერენცირებული/ინკლუზიური სწავლების მეთოდები და მისი მნიშვნელობა სასწავლო პოზიტიური გარემოს შესაქმნელად. სკოლაში ხორციელდება ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და კომპლექსური დავალებების მათზე მორგებულად ადაპტირება. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობეს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენეცირებას.

ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა გამოიყენება მხოლოდ მეხუთე კლასის მეორე სემესტრში და მეექვსე კლასებში. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები პასუხობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აღწერენ მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებენ მიმართებას სამიზნე ცნებებსა და მათ მკვიდრ წარმოდგენებთან. 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლამ აირჩია განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ მათ აქვთ შეფასების რუბრიკების შედგენის გამოცდილება. იყენებენ ჰოლისტურ შეფასებას, ხოლო განმავითარებელი შეფასებისას თვითშფასებას, ურთიერთშეფასებას, ზეპირ კომენტარებს. მომავალი სასწავლო წლიდან ისინი გეგმავენ შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების შექმნას, სამიზნე ცნებებთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.

5. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში დამკვიდრებულია წლის ბოლოს საგნის მასწავლებლების, კათედრების, კლასის დამრიგებლების ანგარიშების წარმოდგენა/ანალიზი, რის საფუძველზეც განიხილება ძირითადი გასაუმჯობესებელი და მომავალში გასათვალისწინებელი საკითხები. კურიკულუმის შექმნისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს, პრაქტიკულ გამოცდილებას, კომპლექსური დავალების განხორციელებისას მიღებულ უკუკავშირს, გაკვეთილის რეფლექსიას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა მუშაობას სასწავლო პროცესში და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი. მასწავლებლები ითვალისწინებენ ხარისხის მართვისა და პროფესიული განვითარების ჯგუფის წევრებისგან მიღებულ უკუკავშირებს.

ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა ;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- თემატური მატრიცები
- სხვადასხვა საგნებში სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სსსმ მოსწავლეების საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია
- პროექტი "ცხოვრების ჯანსაღი წესი"
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- კათედრის სამუშაო გეგმა
- კათედრის სხდომის ოქმები
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა
- მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის, მიღწევების დიაგნოსტირების და ანალიზი.
- სკოლის ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს, რომ ორიენტირებულნი არიან მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს. ამისათვის ირჩევენ შესაბამის სასწავლო მასალას, კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, აქტივობებს და მეთოდებს. გაწერილი მრავალფეროვანი და პრაქტიკული შინაარსის თემატური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ბლოკები, კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწყობს მსჯელობის, ანალიზის, პრობლემის გადაჭრის, შემოქმედებით უნარების განვითარებას. ასევე სკოლში ხორციელდება არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ სხვადასხვა სახის პროექტებში, ღონისძიებებში და სასკოლო წრეებში. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო კულტურა. გაკვეთილზე ძირითადი აქცენტი კეთდება კრეატიულ, სახალისო აქტივობებზე, კეთებით სწავლაზე, როლურ თამაშებზე. ეს პროცესები ხელს უწყობს მათი შინაგანი მოტიცაციის გაღვივებას და მაღალი თვითეფექტიანობის ჩამოყალიბებას, ასევე ჩამოუყალიბონ პასუხისმგებლობის შეგრძნება შესასრულებელი დავალების მიმართ. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შედგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები იძლევა მათ შემოქმედებით ჩართულობას. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილ დოკუმენტაციზე და ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ

მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს, თემას. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მოსწავლეებს სთავაზობენ ისეთ კომპლექსურ დავალებებს, რომლებშიც წარმოდგენილია მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის მისაწვდომი ე.წ. კონტექსტმაგალითები (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგება-გათავისებამდე მიიყვანს. მოსწავლისათვის ნაცნობი ეს შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს.

ინდიკატორი2.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლის დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. საგნობრივი კურიკულუმები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ საფეხურეობრივ მიზნებსა და შედეგებს, კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლებიც, თავის მხრივ, განხორციელების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა უკუკავშირს საკუთარი სწავლის პროცესის მიმართ. სკოლაში ხორციელდება ისეთი პროექტები, რომლებშიც მოსწავლეებს უწევთ მსჯელობა მათ გამოცდილებაზე, ინტერესებზე, პრობლემის იდენტიფიცირებაზე და მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებაზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს, სკოლას აქვს მოსწავლეების მიერ რეფლექსიის ვერბალურად განხორციელების გამოცდილება. მოსწავლეები აფასებენ საკუთარ ნამუშევარს, მსჯელობენ რა გამოუვიდათ კარგად დავალების შესრულებისას, რა გაუჭირდათ და ყოველივე ეს მოსწავლეს ეხმარება საკუთარი თავის განვითარებაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საკითხის უკეთ გააზრებაში, წინსვლასა და წარმატებაში. სკოლის თვითშეფასების კითხვარისა და მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითრებაზე. პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავს ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა.

ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესი, დაწყებით საფეხურზე, ეფუძნება საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას და დანაწევრებული, ფაქტობრივი

ცოდნის გარდა, ემსახურება ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში დანახვასა და სამყაროს მთლიანობის აღქმას. წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მიზნების ძირითადი საკითხები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზებისას. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელთა შესრულებაც მოითხოვს კონკრეტული ფაქტობრივი მასალის ცოდნას, მოქმედების წესებისა და სტრატეგიების გამოყენებას და ცოდნის მკვიდრ წარმოდგენად ჩამოყალიბებას. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და წარმოდგენილი რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეებში საგნობრივი საკითხების გააზრებას. სკოლას აქვს ინტეგრირებული გაკვეთილების, პროექტული სწავლების გამოცდილება, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელების გამოცდილება.

ინდიკატორი2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. საგნის სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ კლასების კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, გვიჩვენებს შესასწავლი თემებისა და საკითხების ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთკავშირების შესაძლებლობას. იგი ყოველი განსაზღვრული თემით უზრუნველყოფს სასწავლო მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. შეთავაზებული კომპლექსური დავალებები მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. ამ მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე სკოლას დაწყებით საფეხურზე აქვს სხვადასხვა საგნის ინტეგრირებულად და უთიერთადაკავშირებულად სწავლების გამოცდილება. ამისი მაგალითია, უკვე ჩატარებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინტეგრირებული გაკვეთილები მათემატიკა/ბუნება, მათემატიკა/მუსიკა, მათემატიკა/ისტი, ხელოვნება/ისტორია - თემა ანტიკური ხანა; მუსიკა/ხელოვნება... აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- სასწავლო პროექტები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები, კომპლექსური დავალებები , შემაჯამებლები და მათი ანალიზი;
- ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი (emis.ge);
- მოსწავლეთა პრეზენტაციები, მოსწავლეთა პორტფოლიო;
- სადამრიგებლო პროგრამა
- გაკვეთილის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი დაწყებითი საფეხურის საგნების სამიზნე ცნებები/ქვეცნებები , თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალებების იდეები, საგნობრივი საკითხები და რესურსები გააზრებულ კავშირშია ერთმანეთთან, რაც წარმოადგენს მთავარ ორიენტირს სწავლა-სწავლების პროცესში. აღნიშნული ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით, მკვიდრი წარმოდგენების რეალიზების გზით. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ გრძელვადიანი მიზნის მიღწევა ხდება შუალედური მიზნებით კომპლექსური ხასიათის დავალებებით. ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები მიემართება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას.

ინდიკატორი2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კონტექსტი ემსახურება არა მხოლოდ საკითხის შინაარსობრივ შესწავლას, არამედ მოსწავლეთა პიროვნულ, ფსიქო–სოციალურ და ემოციურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გაირკვა, რომ საგაკვეთილო პროცესში ყურადღება ეთმობა ისეთი კონტექსტების დამუშავებას, რომლებიც გამიზნულია მოზარდის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაზე, სოციალური უნარების განვითარებაზე. ამ მიმართებით აღსანიშნავია სკოლის სტრატეგია, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სასკოლო პროექტებს, საკლუბო აქტივობებს, სასწავლო აქტივობებს და ღონისძიებებს. სკოლას აქვს მწერლებთან შეხვედრების კარგი პრაქტიკა და სამომავლოდაც დაგეგმილია მწერალთა კავშირის წევრებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეხვედრები. ასევე იმართება სხვადასხვა ღირსშესანიშნავი დღეებისადმი მიძღვნილი სასწავლო აქტივობები. სხვადასხვა სოციალურ და სასწავლო პროექტში მონაწილეობისას მოსწავლეები ცოდნასთან ერთად იძენენ პიროვნული განვითარებისთვის აუცილებელ უნარებს- კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ხასიათი/ნებელობა, თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური უნარები, პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებებზე...

ინდიკატორი2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

წარმოდგენილია შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომელთა გამოყენებაც ხდება კათედრებზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. ტაქსონომია გულისხმობს ხუთ დონეს და ასახავს ცოდნის კრიტერიუმების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ ჰოლისტური შეფასების როლი და მნიშვნელობა სასწავლო პროცესში. ამას მოწმობს შეფასების მრავალფეროვანი მიდგომები და მეთოდები, რომლებიც დაფუძნებულია ზოგად ინდიკატორებზე. ხშირია მოსწავლეებთან ერთად შეფასების რუბრიკების შემუშავების მაგალითებიც. მასწავლებლები თვლიან, რომ მოსწავლეების ჩართვა განმავითარებელ შეფასებაში ეხმარება მათ დამოუკიდებელი სწავლის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მრავალმხრივი, ჰოლისტური განვითარების თვალსაზრისით.

ინდიკატორი2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.

4.სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებშიც აქცენტებია გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეებმა გაკვეთილის დაწყებისთანავე იციან, რომელ კომპონენტში რომელი კრიტერიუმით შეფასდებიან, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის მობილიზებას, ობიექტურობისა და სამართლიანობის განცდას. შეფასების რუბრიკების სანდოობას, ვალიდურობასა თუ ობიექტურობას, ასევე ხელს უწყობს თავად მოსწავლეების მონაწილეობას რუბრიკების შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი2.2.2.4. დაკმაყოფილებულია.

5.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მათ შორის 2023 სასწავლო წლის პედ. საბჭოს ოქმში აღნიშნულია, რომ ახალი წლის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელსაც სკოლა განახორციელებს ყველა მიმართულებით. კათედრების დოკუმენტებით დასტურდება, რომ ამ ეტაპზეც გააჩნიათ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ნიმუშები. ასწავლებლებთან საუბრისას გაირკვა, რომ ამ სასწავლო წელს დაგეგმილია დიაგნოსტიკური წერა რამდენიმე საგანში. მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე შეფასდება კათედრის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროცესი. სკოლა გეგმავს შეფასების ვერიფიკაცია განახორციელოს სამი მიმართულებით: 1. შეფასებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; 2. პროცესის ვერიფიკაცია; 3. მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სკოლას აქვს ამის მზაობა.

ინდიკატორი2.2.2.5. დაკმაყოფილებულია.

6.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა, თვითშეფასების კითხვარისა და ინტერვიუს მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად, არანაკლებ სამი წლის ვადით. პედაგოგები მუშაობენ ელექტრონულ ჟურნალში, სადაც ხდება შეფასებების შეტანა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო წლის ბოლის, კლასის ხელმძღვანელი, ელექტრონული ჟურნალის საფუძველზე ავსებს მოსწავლის პირად საქმეს და ინახავს კანონმდებლობით დადგენილი ვადით. მიმდინარე შეფასებები, კომპლექსური დავალებების შეფასებები ინახება კათედრაზე და მის შენახვაზე პასუხისმგებელია კათედრის ხელმძღვანელი. აღსაღნიშნავია, რომ დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი შეფასება ყოველი წლის ბოლოს მოსწავლის პირად საქმეში ინახება, გარდა ამისა, სემესტრული განმავითარებელი შეფასებები ასახულია ელექტრონულ ჟურნალში. შემაჯამებელი წერების ანალიზები კი ასახულია მასწავლებლის პორტალზე, გარკვეული დროის შემდეგ მასალები არქივდება.

ინდიკატორი2.2.2.6. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის ოქმები;
- პროექტები;
- ინდ სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი (emis.ge);
- საგნობრივი კურიკულუმები;
- რეფლექსია- მოსწავლეთა საჭიროების დადგენისა და მიღწევების ანალიზის ინსტრუმენტები
- მოსწავლეთა მიღწევების და საჭიროებების აღწერა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას, კერძოდ, როგორც სასკოლო, ასევე საკლასო გარემო ყველა მოსწავლისათვის არის პოზიტიური, თანამშრომლობითი და მეგობრული. სკოლის სტრატეგიულ გეგმაში მკაფიოდ არის მონიშნული სკოლის მისია და ღირებულებები, ხაზგასმულია სკოლაში სასწავლო გარემოს და სასწავლო პროცესის პრიორიტეტები: შექმნას მოსწავლისთვის უსაფრთხო გარემო და ხელსაყრელი პირობები თითოეული მათგანის ინტელექტუალური განვითარებისთვის, ინტერესების და მიდრეკილებების გამოვლენისთვის, იზრუნოს მასწავლებლების მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე, მათ შორის თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებაზე, იკვლიოს თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებები. ყოველივე ეს დასტურდება სასკოლო ცხოვრების პრაქტიკით, კერძოდ, კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარებით, ურთიერთდასწრებაზე გაცემული პროფესიული რეკომენდაციებით, კურიკულუმებზე ერთობრივი მუშაობით, განხორციელებული პროექტებით, კლუბური მუშაობის წარმართვით. მასწავლებლებს აქვთ წახალისების სტრატეგიებიც, როგორებიცაა: სიტყვიერი შეფასება, მედლითა თუ სხვა თვალსაჩინოებით დაჯილდოება სხვადასხვა წარმატებული მოსწავლის.

ინდიკატორი2.2.3.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები. სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. სკოლას გააზრებული აქვს მათი მნიშვნელობა, მოსწავლეთა ჩართულობა და მოსწავლის საჭიროებებისა და პროგრესის მონიტორინგი. სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში, როგორც საგნობრივი საკითხის შესწავლას, ასევე სოციალური უნარების განვითარებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა , რომ სკოლას აქვს გამოცდილება როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობებისა და პროექტების განხორციელების, რაც მოიაზრებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს და ხელს უწყობს მათი მოტივაციის ზრდას. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან. შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რადგან გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროები და ინტერესები. პედაგოგები ასევე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, დავალებების შეთავაზებისას ითვალისწინებენ მათ ინტერესებს, ასაკს, თავისებურებებსა და საჭიროებებს.

ინდიკატორი2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილი დოკუმენტაცია (სამოქმედო გეგმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, ბრძანებით დამტკიცებული ხასისხის, სასწავლო მორიტორინგისა და შეფასების ჯგუფები) შეიძლება, მივიჩნიოთ იმის დასტურად, რომ სკოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, კომუნიკაციისა და თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებას. დაწყებით საფეხურზე დაგეგმილი კურიკულუმები მიზანმიმართულია კოლაბორაციისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს კურიკულუმი, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მოსწავლის პორტფოლიოები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, ასევე კათედრის სხდომის ოქმები, კლასის დამრიგებელთა სამუშაო გეგმები, რომლებშიც ჩანს, რომ ისინი მუდმივად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. კათედრები გეგმავენ პროექტებს, ღონისძიებებს, გაკვეთილებს, აქტივობებს, არჩევენ რესურსებს, ახდენენ მშობელთა ინფორმირებასა და ჩართულობას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ თანამშრომლობითი კულტურა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა და ძალიან კარგად იყენებენ „კრიტიკული მეგობრის“ პრაქტიკას. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

ინდიკატორი2.2.3.3. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. პოზიტიური სასკოლო კლიმატი გულისხმობს ძლიერ თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას, ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობით კავშირებს, რომლებიც მოიცავს აკადემიურ და პიროვნულ ზრდას, ზრუნვას, პატივისცემას, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობასა და მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. კურიკულუმებში მოცემული საკითხები, კონტექსტ-მაგალითები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში. დირექცია და მასწავლებლები ჩართული არიან სხვადასხვა აქტივობასა და ფესტივალების ორგანიზება-ჩატარებაში. მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად, შეძლებისდაგვარად ცდილობენ სასწავლო სივრცის გამრავალფეროვნებას. კონსტრუქციული უკუკავშირები ხელს უწყობს პოზიტიური საკლასო კლიმატის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი2.2.3.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სტრატეგიული სამოქმედო გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- პროექტები;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- კათედრის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციითა (კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია) და მასწავლებლებთან გასაუბრებით ნათელი ხდება, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ: -რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). სკოლის თვითშეფასების განაცხაში აღნიშნულია, რომ ბრძანებით შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარების, სწავლების მორიტორინგის და შეფასების ჯგუფები, რომელებიც პროფესიული მხარდაჭერის მიზნით განახორციელებენ გაკვეთილებზე დასწრებას, შეფასებას, რეკომენდაციების გაცემას. მოსწალეთა შეფასებით ხდება შედეგების გაანალიზება და შემდგომ ინტერვენციების განხორციელება: კომპლექსური დავალების მოდიფიცირება საკითხის, სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, პროდუქტის, რესურსებისა და აქტოვობების ცვლილებით. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი გეგმის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება.

ინდიკატორი2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის თვითშეფასების ნარატივიდან,წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და პედაგოგებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ ბრძანებით შექმნილია სწავლების მორიტორინგისა და შეფასების ჯგუფები, რომელებიც პროფესიული მხარდაჭერის მიზნით განახორციელებენ გაკვეთილებზე დასწრებას, შეფასებას, რეკომენდაციების გაცემას. მონიტორინგი და შეფასება ორიენტირებული იქნება სასკოლო საზოგადოების წევრების დახმარებასა და მხარდაჭერაზე. მონიტორინგის განხორციელებისას მკაფიოდ განისაზღვრება ანგარიშვალდებულებები, დაიგეგმება მიზნის მიღწევის მექანიზმები. კათედრის წევრები ინტენსიურად დაესწრებიან ერთმანეთის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გაკვეთილებს, განახორციელებენ მონიტორინგს, ერთმანეთს შესთავაზებენ განვითარებაზე ორინტირებულ კონსტრუქციულ უკუკავშირს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მუშაობა მიმდინარეს შემუშავებული დებულების მიხედვით. დაკვირვების განხორციელების შემდეგ ხდება უკუკავშირის მიცემა. სკოლას აქვს კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრების და თანამშრომლობის პრაქტიკა. არსებობს „კრიტიკული მეგობრის " ინსტიტუტი. მასწავლებლისა და დამკვირვებლის რეფლექსიის საფუძველზე, აანალიზებენ ძლიერ და სუსტ მხარეებს. პროცესი არის გამჭვირვალე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული.

ინდიკატორი2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის თვითშეფასების ფორმის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება მიზნად ისახავს პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის გზების ძიებას. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის აღწერილობაში აღნიშნულია რომ, კათედრებზე მოხდება მშობლებისა და მოსწავლეების უკუკავშირის გათვალისწინებით მიღებული შედეგების გაანალიზება, პრობლემის იდენტიფიცირება და გაუმჯობესების გზების ძიება, რაც აისახება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ კურიკულუმის შეფასება და მონიტორინგი მოიაზრება, როგორც კურიკულუმის განხორციელების მანძილზე გამოვლენილი სირთულეების გაანალიზების და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვის საშუალება, რაც კურიკულუმის განვითარების საფუძველი იქნება. სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა და მასწავლებელთა მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი პრობლემის (სასკოლო პროექტში პრიორიტეტული თემის ასაჩევად და პრობლემის გამოსაკვეთად ჩაატარა სასწავლო პროცესის კვლევა, კვლევაში გამოყენებული იყო სადამრიგებლო პროგრამების, კათედრის მონაცემების, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების მონაცემები. ამ მონაცემებზე დაყრდნობით სკოლამ გამოავლინა პრობლემა მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია და მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია. მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია გამოიხატებოდა იმაში, რომ მასწავლებლების ნაწილი ვერ უღვივებდა მოსწავლეებს მოტივაციას. პრობლემის გადასაჭრელად დაიგეგმა მასწავლებელთა ტრენინგი და შედეგად სადამრიგებლო პროგრამებში შეიტანეს მინი პროექტები, რისი საშუალებითაც გაუმჯობესდა მოსწავლეთა მოტივაცია) გადაჭრისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებისა.

ინდიკატორი2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- დირექტორის ბრძანება სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის შექმნაზე
- დირექტორის ბრძანება ხარისხის მართვის ჯგუფის შექმნაზე;
- მასწავლებელთა ანგარიშები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციით ნათელი ხდება, რომ მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებით შეფასება სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებულია მოსწავლის მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. მასწავლებლები საგნებისა და კლასების მიხედვით წინასწარ ეცნობიან, მასწავლებლის მეთოდური ლიტერატურის საფუძველზე შემუშავებულ, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. ამის შემდეგ თავად აკეთებენ კომპლექსური დავალებების შესაბამის შეფასების რუბრიკებს. შეფასების ეს ფორმები ითვალისწინებს გრძელვადიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. ხშირია გაკვეთილზე მოსწავლეებთან ერთად შეფასების რუბრიკების შემუშავება. გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებმა იციან თუ რომელ კომპონენტში რომელი კრიტერიუმით შეფასდებიან.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2.სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის წინაპირობასა და ფაქტორებზე დაყრდნობით, რაც საშუალებას აძლევთ მოსწავლის მრავალი კუთხით იდენტიფიცირებისას. გამოავლინონ სასწავლო პროცესში გამოყენებული მისი სხვადასხვა უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება. სკოლის დოკუმენტაციაში დევს შესაბამისი აქტივობების შეფასების რუბრიკები. კათედრებს წარმოდგენილი აქვთ მრავალფეროვანი რუბრიკები, კომპლექსური ბუნების დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; სოლო ტაქსონომიის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების რუბრიკები; მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა.

ინდიკატორი2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

3.მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, სკოლის თვითშეფასებისა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში მონაცემთა შეგროვების გამოცდილება არსებობს. სკოლა შეფასებისას იყენებს რაოდენობრივ და თვისობრივ მონაცემებს. კერძოდ, შემაჯამებელი დავალებების შეფასების შემდეგ მასწავლებელი ითვლის პროცენტულად რამდენმა მოსწავლემ დაძლია სოლო ტაქსონომიის მიღწევის დონები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას მიღებული ინფორმაციის თანახმად, სასწავლო პროცესის ანალიზისთვის მონაცემთა შეგროვება სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით მოხდება. მაგ. დაკვირვება, ფოკუს-ჯგუფი, ჩაღრმავებული ინტერვიუ და სხვა. ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება სიახლე - სადიაგნოსტიკო შეფასება, რაც დაეხმარება სკოლას საგნობრივი სტანდარტების დანერგვის ხარისხის მორიტორინგში, გამოწვევების დანახვაში და მათი ანალიზის საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების დანერგვაში.

ინდიკატორი2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.

4.წარმოდგენილი კურიკულუმები მოიაზრებს შეფასება განხორციელდეს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად, მოსწავლეზე დაკვირვება წარიმართება მულტიფაქტორული მიდგომის გათვალისწინებით, სხვადასხვა გარემოებებში, რის საშუალებასაც იძლევა დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და არაფორმალური აქტივობები. მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს, ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა;
- შეფასების ფორმები;
- ინდ. გეგმები;
- მოსწავლეთა შედეგების ანალიზი და მათი შეფასება;
- დამრიგებლის პორთფოლიო;
- სსსმ მოსწავლის მონიტორინგი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1.კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიური ჩარჩოსა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა ითვალისწინებს წინა სასწავლო წლის კურიკულუმების ანალიზს და ამის საფუძველზე შეიმუშავებს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტს, რომელშიც დანახული მიგნებები ასახება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. კურიკულუმის განხორციელების პროცესი ეფუძნება მუდმივ შესწავლასა და რეფლექსიას დასახული მიზნის მიღწევისა და პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლები ურთიერდასწრებებისa და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში უკვე ასახულია დანერგვის პროცესში მიღებული გამოცდილება. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის გასული წლის კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. ანალიზის საგანს წარმოადგენს მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მიღწეული შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, ,,კრიტიკული მეგობრისა“ და დირექციის ჩართულობა გაცემული უკუკავშირების სახით. კერძოდ, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების საფუძველზე გამოიკვეთა, რამ იმუშავა ან არ იმუშავა კარგად, რომელმა აქტივობამ აღძრა მოსწავლეთა ინტერსი, როგორ გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა, რამ იმუშავა მოტივაციაზე, რას შეცვლიდნენ მომავალი წლის კურიკულუმებში და ა.შ. იგეგმება კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების გათვალისწინებით. რევიზირებულ ვერსიაში გათვალისწინებული იქნება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის გზები.

ინდიკატორი2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმები.
- პედ. საბჭოს ოქმები
- კათედრის ოქმები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

საბაზო საფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება)	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის კურიკულუმები აგებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პრინციპებისა და მეთოდიკური ორიენტირების შესაბამისად. პედაგოგები სკოლისა და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ, კათედრებზე კოლეგიალურად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კურიკულუმების შედგენისას, ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, დიფერენცირებული მიდგომები და სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც ჩანს სასკოლო სასწავლო გეგმაში. სამოქმედო გეგმაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა განხილულია, როგორც ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მის განსახორციელებლად დასახულია მთელი რიგი აქტივობები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა ,რომ საბაზო საფეხურის საგნების კათედრის წევრები სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებენ კოლეგებს, დირექციას, მშობლებს და მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებენ საკითხების, რესურსების, კომპლექსური დავალებების შერჩევისა თუ ცვლილებების განხორციელებისას. კურიკულუმის შემუშავების პროცესში, დავალებებისა და აქტივობების დაგეგმვისას უპირველესად გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესი. მშობელთა ჩართულობა ხდება მშობელთა კრებების, ასევე სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით და მათგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით.

ინდიკატორი2.1.1.2.დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ კათედრებზე და მასში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ სკოლასა და მოსწავლეზე ორიენტირებულ კურიკულუმებს, რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება, აგრეთვე მათი ინტერესები. მასწავლებლები კათედრაზე თანამშრომლობენ, იზიარებენ გამოცდილებას და ინტერესებს. სასწავლო პროცესს გეგმავენ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების შესაბამისად, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე და ორიენტირებულები არიან მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. კათედრებზე განხილული ანგარიშების საფუძველზე ხდება გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების გზების ძიება და სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა. სკოლაში ხორციელდება კომპლექსური დავალებების რეფლექსია, რომელიც განიხილება საგნობრივ კათედრებზე და იკვეთება ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც გათვალისწინებულია კურიკულუმის შემუშავების დროს. თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. თითოეულ კათედრაზე, მასწავლებლები საკუთარი კლასის მოსწავლეთა მშობლებს სასწავლო წლის მანძილზე აცნობენ კურიკულუმში გაწერილ საკითხებს. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. საგნობრივი კურიკულუმის გაზიარება ხდება სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო საშუალებებით: სასკოლო ელექტრონული სივრცის მეშვეობით, სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებით, კითხვარები მშობლებისათვის და სხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ელექტრონული ფოსტით, ნაბეჭდი მასალით, სოციალური მედით, საიდანაც უკუკავშირის სახით იღებს წინადადებებს, შენიშვნებს,რეკომენდაციებს. ამავე მიზნით სკოლაში ტარდება სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის მშობლებთან და კოლეგებთან შეხვედრები. პედაგოგები მშობლების ინფორმირებულობისათვის იყენებენ ინდივიდუალურ შეხვედრებს, მშობლის ბარათებს.

ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- მშობელთა კრების ოქმი
- სადამრიგებლო პროგრამა
- კომპლექსური დავალების ბარათები მშობლებისთვის
- თვითშეფასების განაცხადი
- პედაგოიური საბჭოს სამუშაო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- სსსმ მოსწავლის მონიტორინგის ფორმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- კომპლექსური ბარათები (მშობლებისთვის).
- კითხვარი მშობლებისთვის

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, არის მოსწავლეზე ორიენტირებული, მათი ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული (რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებში). კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები, ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, სადაც ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. პედაგოგების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედურ მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. გასაუბრებისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსი და როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება.

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

2.კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. საფეხურის კათედრაზე გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა გააზრებულია ,ერთი მხრივ, ფუნქციურ უნარებზე, მეორე მხრივ, კი სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული საკითხების დამუშავებით. ინტერვიუს საფუძველზე, ნათლად ჩანს, რომ მასწავლებლები არჩევენ კონტექსტ-მაგალითებს, კომპლექსური დავალების იდეას /პირობას და შესაბამის რესურსებს, დაგეგმილი პროცესი საინტერესო და მიზანმიმართულია, რაც ასევე იძლევა საშუალებას გააქტიურდეს მოსწავლის გლობალურ-ფუნქციური უნარები. მათ გააზრებული აქვთ, რომ კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნას/ პრობლემის გადაჭრას მიუდგეს შემოქმედებითად, გუნდური მუშაობის დროს ჩამოუყალიბდეთ თანამშრომლობითი უნარები, ხოლო დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიციური სტრატეგიების გამოყენება, აყალიბებს მის ხასიათსა და პიროვნებას.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები გათვლილია მაღალი, დაბალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ დიფერენცირებული/ინკლუზიური სწავლების მეთოდები და მისი მნიშვნელობა სასწავლო პოზიტიური გარემოს შესაქმნელად. სკოლაში ხორციელდება ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და კომპლექსური დავალებების მათზე მორგებულად ადაპტირება. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენეცირებას.

ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა გამოიყენება მხოლოდ მეხუთე კლასის მეორე სემესტრში და მეექვსე კლასებში. წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასების რუბრიკები პასუხობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერენ მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებენ მიმართებას სამიზნე ცნებებსა და მათ მკვიდრ წარმოდგენებთან. 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლამ აირჩია განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ მათ აქვთ შეფასების რუბრიკების შედგენის გამოცდილება. იყენებენ ჰოლისტურ შეფასებას, ხოლო განმავითარებელი შეფასებისას თვითშფასებას, ურთიერთშეფასებას, ზეპირ კომენტარებს. მომავალი სასწავლო წლიდან ისინი გეგმავენ შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების შექმნას, სამიზნე ცნებებთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.

5.წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში დამკვიდრებულია წლის ბოლოს საგნის მასწავლებლების, კათედრების, კლასის დამრიგებლების ანგარიშების წარმოდგენა/ანალიზი, რის საფუძველზეც განიხილება ძირითადი გასაუმჯობესებელი და მომავალში გასათვალისწინებელი საკითხები. კურიკულუმის შექმნისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს, პრაქტიკულ გამოცდილებას, კომპლექსური დავალების განხორციელებისას მიღებულ უკუკავშირს, გაკვეთილის რეფლექსიას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა მუშაობას სასწავლო პროცესში და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი. მასწავლებლები ითვალისწინებენ ხარისხის მართვისა და პროფესიული განვითარების ჯგუფის წევრებისგან მიღებულ უკუკავშირებს.

ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა ;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- თემატური მატრიცები
- სხვადასხვა საგნებში სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სსსმ მოსწავლეების საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია
- პროექტი "ცხოვრების ჯანსაღი წესი"
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- კათედრის სამუშაო გეგმა
- კათედრის სხდომის ოქმები
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა
- მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის, მიღწევების დიაგნოსტირების და ანალიზი.
- სკოლის ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს, რომ ორიენტირებულნი არიან მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს. ამისათვის ირჩევენ შესაბამის სასწავლო მასალას, კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, აქტივობებს და მეთოდებს. გაწერილი მრავალფეროვანი და პრაქტიკული შინაარსის თემატური ბლოკები, კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწყობს მსჯელობის, ანალიზის, პრობლემის გადაჭრის, შემოქმედებით უნარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განვითარებას. ასევე სკოლში ხორციელდება არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ სხვადასხვა სახის პროექტებში, ღონისძიებებში და სასკოლო წრეებში. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო კულტურა. გაკვეთილზე ძირითადი აქცენტი კეთდება კრეატიულ, სახალისო აქტივობებზე, კეთებით სწავლაზე, როლურ თამაშებზე. ეს პროცესები ხელს უწყობს მათი შინაგანი მოტიცაციის გაღვივებას და მაღალი თვითეფექტიანობის ჩამოყალიბებას, ასევე ჩამოუყალიბონ პასუხისმგებლობის შეგრძნება შესასრულებელი დავალების მიმართ. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შედგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმები იძლევა მათ შემოქმედებით ჩართულობას. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილ დოკუმენტაციისა და ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ

მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს, თემას. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მოსწავლეებს სთავაზობენ ისეთ კომპლექსურ დავალებებს, რომლებშიც წარმოდგენილია მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის მისაწვდომი ე.წ. კონტექსტმაგალითები (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგება-გათავისებამდე მიიყვანს. მოსწავლისათვის ნაცნობი ეს შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს.

ინდიკატორი2.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლის დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. საგნობრივი კურიკულუმები ეფუძნება საგნობრივი სტანტადრტით გათვალისწინებულ საფეხურეობრივ მიზნებსა და შედეგებს, კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლებიც, თავის მხრივ, განხორციელების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა უკუკავშირს საკუთარი სწავლის პროცესის მიმართ. სკოლაში ხორციელდება ისეთი პროექტები, რომლებშიც მოსწავლეებს უწევთ მსჯელობა მათ გამოცდილებაზე, ინტერესებზე, პრობლემის იდენტიფცირებაზე და მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებაზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს, სკოლას აქვს მოსწავლეების მიერ რეფლექსიის ვერბალურად განხორციელების გამოცდილება. მოსწავლეები აფასებენ საკუთარ ნამუშევარს, მსჯელობენ, რა გამოუვიდათ კარგად დავალების შესრულებისას, რა გაუჭირდათ და ყოველივე ეს მოსწავლეს ეხმარება საკუთარი თავის განვითარებაში, საკითხის უკეთ გააზრებაში, წინსვლასა და წარმატებაში. სკოლის თვითშეფასების კითხვარისა და მასწავლებლებისგან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიღებული ინფორმციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითრებაზე. პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავს ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა.

ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესი, დაწყებით საფეხურზე, ეფუძნება საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას და დანაწევრებული, ფაქტობრივი

ცოდნის გარდა, ემსახურება ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში დანახვასა და სამყაროს მთლიანობის აღქმას. წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მიზნების ძირითადი საკითხები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზებისას. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელთა შესრულებაც მოითხოვს კონკრეტული ფაქტობრივი მასალის ცოდნას, მოქმედების წესებისა და სტრატეგიების გამოყენებას და ცოდნის მკვიდრ წარმოდგენად ჩამოყალიბებას. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და წარმოდგენილი რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეებში საგნობრივი საკითხების გააზრებას. სკოლას აქვს ინტეგრირებული გაკვეთილების, პროექტული სწავლების გამოცდილება, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელების გამოცდილება.

ინდიკატორი2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. საგნის სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ კლასების კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, გვიჩვენებს შესასწავლი თემებისა და საკითხების ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთკავშირების შესაძლებლობას. იგი ყოველი განსაზღვრული თემით უზრუნველყოფს სასწავლო მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. შეთავაზებული კომპლექსური დავალებები მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. ამ მიზნით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე სკოლას დაწყებით საფეხურზე აქვს სხვადასხვა საგნების ინტეგრირებულად და უთიერთადაკავშირებულად სწავლების გამოცდილება. ამისი მაგალითია, უკვე ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილები მათემატიკა/ბუნება, მათემატიკა/მუსიკა, მათემატიკა/ისტი, ხელოვნება/ისტორია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მუსიკა/ხელოვნება... აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- სასწავლო პროექტები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები, კომპლექსური დავალებები , შემაჯამებლები და მათი ანალიზი;
- ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი (emis.ge);
- მოსწავლეთა პრეზენტაციები, მოსწავლეთა პორტფოლიო;
- სადამრიგებლო პროგრამა
- გაკვეთილის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტში დეტალურად გაწერილი საბაზო საფეხურის საგნების სამიზნე ცნებები/ქვეცნებები , თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალებების იდეები, საგნობრივი საკითხები და რესურსები გააზრებულ კავშირშია ერთმანეთთან, რაც წარმოადგენს მთავარ ორიენტირს სწავლა-სწავლების პროცესში. აღნიშნული ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით, მკვიდრი წარმოდგენების რეალიზების გზით. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ გრძელვადიანი მიზნის მიღწევა ხდება შუალედური მიზნებით კომპლექსური ხასიათის დავალებებით. ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები მიემართება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას.

ინდიკატორი2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კონტექსტი ემსახურება არა მხოლოდ საკითხის შინაარსობრივ შესწავლას, არამედ მოსწავლეთა პიროვნულ, ფსიქო–სოციალურ და ემოციურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გაირკვა, რომ საგაკვეთილო პროცესში ყურადღება ეთმობა ისეთი კონტექსტების დამუშავებას, რომლებიც გამიზნულია მოზარდის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაზე, სოციალური უნარების განვითარებაზე. ამ მიმართებით აღსანიშნავია სკოლის სტრატეგია, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სასკოლო პროექტებს, საკლუბო აქტივობებს, სასწავლო აქტივობებსა და ღონისძიებებს. სკოლას აქვს მწერლებთან შეხვედრების კარგი პრაქტიკა და სამომავლოდაც დაგეგმილია მწერალთა კავშირის წევრებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეხვედრები. ასევე იმართება სხვადასხვა ღირსშესანიშნავი დღისადმი მიძღვნილი სასწავლო აქტივობები. სხვადასხვა სოციალურ და სასწავლო პროექტებში მონაწილეობისას მოსწავლეები ცოდნასთან ერთად იძენენ პიროვნული განვითარებისთვის აუცილებელ უნარებს- კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ხასიათი/ნებელობა, თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური უნარები, პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებებზე...

ინდიკატორი2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

წარმოდგენილია შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომელთა გამოყენებაც ხდება კათედრებზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. ტაქსონომია გულისხმობს ხუთ დონეს და ასახავს ცოდნის კრიტერიუმების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ ჰოლისტური შეფასების როლი და მნიშვნელობა სასწავლო პროცესში. ამას მოწმობს შეფასების მრავალფეროვანი მიდგომები და მეთოდები, რომლებიც დაფუძნებულია ზოგად ინდიკატორებზე. ხშირია მოსწავლეებთან ერთად შეფასების რუბრიკების შემუშავების მაგალითებიც. მასწავლებლები თვლიან, რომ მოსწავლეების ჩართვა განმავითარებელ შეფასებაში ეხმარება მათ დამოუკიდებელი სწავლის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მრავალმხრივი, ჰოლისტური განვითარების თვალსაზრისით.

ინდიკატორი2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სადაც აქცენტებია გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს ,რომ მოსწავლეებმა გაკვეთილის დაწყებისთანავე იციან, რომელ კომპონენტში რომელი კრიტერიუმით შეფასდებიან, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის მობილიზებას, ობიექტურობისა და სამართლიანობის განცდას. შეფასების რუბრიკების სანდოობას, ვალიდურობასა, თუ ობიექტურობას, ასევე ხელს უწყობს თავად მოსწავლეების მონაწილეობა რუბრიკების შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი2.2.2.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მათ შორის 2023 სასწავლო წლის პედ. საბჭოს ოქმში აღნიშნულია, რომ ახალი წლის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელსაც სკოლა განახორციელებს ყველა მიმართულებით. კათედრების დოკუმენტებით დასტურდება, რომ ამ ეტაპზეც გააჩნიათ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ნიმუშები. ასწავლებლებთან საუბრისას გაირკვა, რომ ამ სასწავლო წელს დაგეგმილია დიაგნოსტიკური წერა რამდენიმე საგანში. მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე შეფასდება კათედრის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, გეგმავს შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ვერიფიკაცია განახორციელოს სამი მიმართულებით: 1. შეფასებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; 2. პროცესის ვერიფიკაცია; 3. მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სკოლას აქვს ამის მზაობა.

ინდიკატორი2.2.2.5. დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა, თვითშეფასების კითხვარისა და ინტერვიუს მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად, არანაკლებ სამი წლის ვადით. პედაგოგები მუშაობენ ელექტრონულ ჟურნალში, რომელშიც ხდება შეფასებების შეტანა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო წლის ბოლოს, კლასის ხელმძღვანელი, ელექტრონული ჟურნალის საფუძველზე ავსებს მოსწავლის პირად საქმეს და ინახავს კანონმდებლობით დადგენილი ვადით. მიმდინარე შეფასებები, კომპლექსური დავალებების შეფასებები ინახება კათედრაზე და მის შენახვაზე პასუხისმგებელია კათედრის ხელმძღვანელი. აღსანიშნავია, რომ საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასება ყოველი წლის ბოლოს მოსწავლის პირად საქმეში ინახება, გარდა ამისა, სემესტრული განმავითარებელი შეფასებები ასახულია ელექტრონულ ჟურნალში. შემაჯამებელი წერების ანალიზები კი ასახულია მასწავლებლის პორტალზე, გარკვეული დროის შემდეგ მასალები არქივდება.

ინდიკატორი2.2.2.6. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის ოქმები;
- პროექტები;
- ინდ სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი (emis.ge);
- საგნობრივი კურიკულუმები;
- რეფლექსია- მოსწავლეთა საჭიროების დადგენისა და მიღწევების ანალიზის ინსტრუმენტები
- მოსწავლეთა მიღწევების და საჭიროებების აღწერა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ **არ შეესაბამება**

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას, კერძოდ, როგორც სასკოლო ასევე საკლასო გარემო ყველა მოსწავლისათვის არის პოზიტიური, თანამშრომლობითი და მეგობრული. სკოლის სტრატეგიულ გეგმაში მკაფიოდ არის მონიშნული სკოლის მისია და ღირებულებები, ხაზგასმულია სკოლაში სასწავლო გარემოს და სასწავლო პროცესის პრიორიტეტები: შექმნას მოსწავლისთვის უსაფრთხო გარემო და ხელსაყრელი პირობები თითოეული მათგანის ინტელექტუალური განვითარებისთვის, ინტერესების და მიდრეკილებების გამოვლენისთვის, იზრუნოს მასწავლებლების მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე, მათ შორის თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებაზე, იკვლიოს თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებები. ყოველივე ეს დასტურდება სასკოლო ცხოვრების პრაქტიკით, კერძოთ კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარებით, ურთიერთდასწრებაზე გაცემული პროფესიული რეკომენდაციებით, კურიკულუმებზე ერთობრივი მუშაობით, განხორციელებული პროექტებით, კლუბური მუშაობის წარმართვით. მასწავლებლებს აქვთ წამახალისებელი სტრატეგიებიც, როგორებიცაა სიტყვიერი შეფასება, მედლითა თუ სხვა თვალსაჩინოებით დაჯილდოება სხვადასხვა წარმატებული მოსწავლის.

ინდიკატორი2.2.3.1. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. სკოლას გააზრებული აქვს მათი მნიშვნელობა, მოსწავლეთა ჩართულობა და მოსწავლის საჭიროებებისა და პროგრესის მონიტორინგი. სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში, როგორც საგნობრივი საკითხის შესწავლას, ასევე სოციალური უნარების განვითარებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობებისა და პროექტების განხორციელების, რაც მოიაზრებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს და ხელს უწყობს მათი მოტივაციის ზრდას. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან. შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რადგან გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროები და ინტერესები. პედაგოგები ასევე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, დავალებების შეთავაზებისას ითვალისწინებენ მათ ინტერესებს, ასაკს, თავისებურებებსა და საჭიროებებს.

ინდიკატორი2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილი დოკუმენტაცია (სამოქმედო გეგმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, ბრძანებით დამტკიცებული ხასისხის, სასწავლო მორიტორინგისა და შეფასების ჯგუფები) შეიძლება მივიჩნიოთ იმის დასტურად, რომ სკოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, კომუნიკაციისა და თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებას. დაწყებით საფეხურზე დაგეგმილი კურიკულუმები მიზანმიმართულია კოლაბორაციისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს კურიკულუმი, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მოსწავლის პორტფოლიოები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, ასევე კათედრის სხდომის ოქმები, კლასის დამრიგებელთა სამუშაო გეგმები, სადაც ჩანს, რომ ისინი მუდმივად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. კათედრები გეგმავენ პროექტებს, ღონისძიებებს, გაკვეთილებს, აქტივობებს, არჩევენ რესურსებს, ახდენენ მშობელთა ინფორმირებასა და ჩართულობას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ თანამშრომლობითი კულტურა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა და ძალიან კარგად იყენებენ „კრიტიკული მეგობრის“ პრაქტიკას. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი2.2.3.3. დაკმაყოფილებულია.

4. პოზიტიური სასკოლო კლიმატი გულისხმობს ძლიერ თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას, ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობით კავშირებს, რომლებიც მოიცავს აკადემიურ და პიროვნულ ზრდას, ზრუნვას, პატივისცემას, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობასა და მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. კურიკულუმებში მოცემული საკითხები, კონტექსტ-მაგალითები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში. დირექცია და მასწავლებლები ჩართული არიან სხვადასხვა აქტივობისა და ფესტივალების ორგანიზება-ჩატარებაში. მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად, შეძლებისდაგვარად ცდილობენ სასწავლო სივრცის გამრავალფეროვნებას. კონსტრუქციული უკუკავშირები ხელს უწყობს პოზიტიური საკლასო კლიმატის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი2.2.3.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სტრატეგიული სამოქმედო გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- პროექტები;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- კათედრის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციითა (კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია) და მასწავლებლებთან გასაუბრებით ნათელი ხდება, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ: -რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). სკოლის თვითშეფასების განაცხაში აღნიშნულია, რომ ბრძანებით შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარების, სწავლების მორიტორინგის და შეფასების ჯგუფები, რომელებიც პროფესიული მხარდაჭერის მიზნით განახორციელებენ გაკვეთილებზე დასწრებას, შეფასებას, რეკომენდაციების გაცემას. მოსწალეთა შეფასებით ხდება შედეგების გაანალიზება და შემდგომ ინტერვენციების განხორციელება: კომპლექსური დავალების მოდიფიცირება საკითხის, სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, პროდუქტის, რესურსებისა და აქტოვობების ცვლილებით. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი გეგმის შესაბამისად; აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება.

ინდიკატორი2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის თვითშეფასების ნარატივიდან,წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და პედაგოგებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ ბრძანებით შექმნილია სწავლების მორიტორინგისა და შეფასების ჯგუფები, რომელებიც პროფესიული მხარდაჭერის მიზნით განახორციელებენ გაკვეთილებზე დასწრებას, შეფასებას, რეკომენდაციების გაცემას. მონიტორინგი და შეფასება ორიენტირებული იქნება სასკოლო საზოგადოების წევრების დახმარებასა და მხარდაჭერაზე. მონიტორინგის განხორციელებისას მკაფიოდ განისაზღვრება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ანგარიშვალდებულებები, დაიგეგმება მიზნის მიღწევის მექანიზმები. კათედრის წევრები ინტენსიურად დაესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, განახორციელებენ მონიტორინგს, ერთმანეთს შესთავაზებენ განვითარებაზე ორინტირებულ კონსტრუქციულ უკუკავშირს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მუშაობა მიმდინარეს შემუშავებული დებულების მიხედვით. დაკვირვების განხორციელების შემდეგ ხდება უკუკავშირის მიცემა. სკოლას აქვს კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრების და თანამშრომლობის პრაქტიკა. არსებობს „კრიტიკული მეგობრის " ინსტიტუტი. მასწავლებლისა და დამკვირვებლის რეფლექსიის საფუძველზე, აანალიზებენ ძლიერ და სუსტ მხარეებს. პროცესი არის გამჭვირვალე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული.

ინდიკატორი2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის თვითშეფასების ფორმის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება მიზნად ისახავს პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის გზების ძიებას. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის აღწერილობაში აღნიშნულია რომ, კათედრებზე მოხდება მშობლებისა და მოსწავლეების უკუკავშირის გათვალისწინებით მიღებული შედეგების გაანალიზება, პრობლემის იდენტიფიცირება და გაუმჯობესების გზების ძიება, რაც აისახება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ კურიკულუმის შეფასება და მონიტორინგი მოიაზრება, როგორც კურიკულუმის განხორციელების მანძილზე გამოვლენილი სირთულეების გაანალიზებისა და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვის საშუალება, რაც კურიკულუმის განვითარების საფუძველი იქნება. სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა და მასწავლებელთა მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი პრობლემის (სასკოლო პროექტში პრიორიტეტული თემის ასაჩევად და პრობლემის გამოსაკვეთად ჩაატარა სასწავლო პროცესის კვლევა, კვლევაში გამოყენებული იყო სადამრიგებლო პროგრამების, კათედრის მონაცემების, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების მონაცემები. ამ მონაცემებზე დაყრდნობით სკოლამ გამოავლინა პრობლემა მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია და მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია. მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია გამოიხატებოდა იმაში, რომ მასწავლებლების ნაწილი ვერ უღვივებდა მოსწავლეებს მოტივაციას. პრობლემის გადასაჭრელად დაიგეგმა მასწავლებელთა ტრენინგი და შედეგად სადამრიგებლო პროგრამებში შეიტანეს მინი პროექტები, რისი საშუალებითაც გაუმჯობესდა მოსწავლეთა მოტივაცია) გადაჭრისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებისა.

ინდიკატორი2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა;
- დირექტორის ბრძანება სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის შექმნაზე
- დირექტორის ბრძანება ხარისხის მართვის ჯგუფის შექმნაზე;
- მასწავლებელთა ანგარიშები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციით ნათელი ხდება, რომ მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებით შეფასება სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებულია მოსწავლის მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. მასწავლებლები საგნებისა და კლასების მიხედვით წინასწარ ეცნობიან, მასწავლებლის მეთოდური ლიტერატურის საფუძველზე შემუშავებულ, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. ამის შემდეგ თავად აკეთებენ კომპლექსური დავალებების შესაბამის შეფასების რუბრიკებს. შეფასების ეს ფორმები ითვალისწინებს გრძელვადიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. ხშირია გაკვეთილზე მოსწავლეებთან ერთად შეფასების რუბრიკების შემუშავება. გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებმა იციან თუ რომელ კომპონენტში რომელი კრიტერიუმით შეფასდებიან.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2.სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის წინაპირობასა და ფაქტორებზე დაყრდნობით, რაც საშუალებას აძლევთ მოსწავლის მრავალი კუთხით იდენტიფიცირებისას გამოავლინონ სასწავლო პროცესში გამოყენებული მისი სხვადასხვა უნარი: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება. სკოლის დოკუმენტაციაში დევს შესაბამისი აქტივობების შეფასების რუბრიკები. კათედრებს წარმოდგენილი აქვთ მრავალფეროვანი რუბრიკები, კომპლექსური ბუნების დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; სოლო ტაქსონომიის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; სხვადასხვა ტიპის დავალების შეფასების რუბრიკები; მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა.

ინდიკატორი2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

3.მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, სკოლის თვითშეფასებისა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში მონაცემთა შეგროვების გამოცდილება არსებობს. სკოლა შეფასებისას იყენებს რაოდენობრივ და თვისობრივ მონაცემებს. კერძოდ შემაჯამებელი დავალებების შეფასების შემდეგ მასწავლებელი ითვლის პროცენტულად რამდენმა მოსწავლემ დაძლია სოლო ტაქსონომიის მიღწევის დონები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას მიღებული ინფორმაციის თანახმად, სასწავლო პროცესის ანალიზისთვის მონაცემთა შეგროვება სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით მოხდება. მაგ. დაკვირვება, ფოკუს-ჯგუფი, ჩაღრმავებული ინტერვიუ და სხვა. ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება სიახლე - სადიაგნოსტიკო შეფასება, რაც დაეხმარება სკოლას საგნობრივი სტანდარტების დანერგვის ხარისხის მორიტორინგში, გამოწვევების დანახვაში და მათი ანალიზის საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების დანერგვაში.

ინდიკატორი2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.

4.წარმოდგენილი კურიკულუმები მოიაზრებს შეფასება განხორციელდეს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად, მოსწავლეზე დაკვირვება წარიმართება მულტიფაქტორული მიდგომის გათვალისწინებით, სხვადასხვა გარემოებაში, რის საშუალებასაც იძლევა დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და არაფორმალური აქტივობები. მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს, ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- კურიკულუმის ჩარჩო;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა;
- შეფასების ფორმები;
- ინდ. გეგმები;
- მოსწავლეთა შედეგების ანალიზი და მათი შეფასება;
- დამრიგებლის პორთფოლიო;
- სსსმ მოსწავლის მონიტორინგი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიური ჩარჩოსა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა ითვალისწინებს წინა სასწავლო წლის კურიკულუმების ანალიზს და ამის საფუძველზე შეიმუშავებს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტს, რომელშიც დანახული მიგნებები ასახება ახალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასწავლო წლის კურიკულუმში. კურიკულუმის განხორციელების პროცესი ეფუძნება მუდმივ შესწავლასა და რეფლექსიას დასახული მიზნის მიღწევისა და პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლები ურთიერდასწრებებისა და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს, თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში უკვე ასახულია დანერგვის პროცესში მიღებული გამოცდილება. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის გასული წლის კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. ანალიზის საგანს წარმოადგენს მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მიღწეული შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, ,,კრიტიკული მეგობრისა“ და დირექციის ჩართულობა გაცემული უკუკავშირების სახით. კერძოდ, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების საფუძველზე გამოიკვეთა ,რამ იმუშავა ან არ იმუშავა კარგად, რომელმა აქტივობამ აღძრა მოსწავლეთა ინტერსი, როგორ გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა, რამ იმუშავა მოტივაციაზე, რას შეცვლიდნენ მომავალი წლის კურიკულუმებში და ა.შ. იგეგმება კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების გათვალისწინებით. რევიზირებულ ვერსიაში გათვალისწინებული იქნება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის გზები.

ინდიკატორი2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმები.
- პედ. საბჭოს ოქმები
- კათედრის ოქმები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

საშუალო საფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება)	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის კურიკულუმები აგებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პრინციპებისა და მეთოდიკური ორიენტირების შესაბამისად. პედაგოგები სკოლისა და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ, კათედრებზე კოლეგიალურად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კურიკულუმების შედგენისას, ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, დიფერენცირებული მიდგომები და სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც ჩანს სასკოლო სასწავლო გეგმაში. სამოქმედო გეგმაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა განხილულია როგორც ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანა და მის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განსახორციელებლად დასახულია მთელი რიგი აქტივობები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ საშუალო საფეხურის საგნების კათედრის წევრები სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებენ კოლეგებს, დირექციას, მშობლებს და მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებენ საკითხების, რესურსების, კომპლექსური დავალებების შერჩევისა თუ ცვლილებების განხორციელებისას. კურიკულუმის შემუშავების პროცესში, დავალებებისა და აქტივობების დაგეგმვისას უპირველესად გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესი. მშობელთა ჩართულობა ხდება მშობელთა კრებების, ასევე სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით და მათგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით.

ინდიკატორი2.1.1.2.დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ კათედრებზე და მასში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ სკოლასა და მოსწავლეზე ორიენტირებულ კურიკულუმებს, რომლებშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება, აგრეთვე მათი ინტერესები. მასწავლებლები კათედრაზე თანამშრომლობენ, იზიარებენ გამოცდილებას და ინტერესებს. სასწავლო პროცესს გეგმავენ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების შესაბამისად, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე და ორიენტირებულები არიან მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. კათედრებზე განხილული ანგარიშების საფუძველზე ხდება გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების გზების ძიება და სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა. სკოლაში ხორციელდება კომპლექსური დავალებების რეფლექსია, რომელიც განიხილება საგნობრივ კათედრებზე და იკვეთება ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც გათვალისწინებულია კურიკულუმის შემუშავების დროს. თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. თითოეულ კათედრაზე, მასწავლებლები საკუთარი კლასის მოსწავლეთა მშობლებს სასწავლო წლის მანძილზე აცნობენ კურიკულუმში გაწერილ საკითხებს. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. საგნობრივი კურიკულუმის გაზიარება ხდება სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო საშუალებებით: სასკოლო ელექტრონული სივრცის მეშვეობით, სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებით, კითხვარები მშობლებისათვის და სხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის, ელექტრონული ფოსტით, ნაბეჭდი მასალით, სოციალური მედით, საიდანაც უკუკავშირის სახით იღებს წინადადებებს, შენიშვნებს,რეკომენდაციებს. ამავე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიზნით სკოლაში ტარდება სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის მშობლებთან და კოლეგებთან შეხვედრები. პედაგოგები მშობლების ინფორმირებულობისათვის იყენებენ ინდივიდუალურ შეხვედრებს, მშობლის ბარათებს.

ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- მშობელთა კრების ოქმი
- სადამრიგებლო პროგრამა
- კომპლექსური დავალების ბარათები მშობლებისთვის
- თვითშეფასების განაცხადი
- პედაგოიური საბჭოს სამუშაო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- სსსმ მოსწავლის მონიტორინგის ფორმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- კომპლექსური ბარათები (მშობლებისთვის).
- კითხვარი მშობლებისთვის

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ არ შეესაბამება

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, არის მოსწავლეზე ორიენტირებული, მათი ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული (რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებში). კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები, ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, სადაც ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. პედაგოგების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედურ მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსი და როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება.

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე

ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. საფეხურის კათედრაზე გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა გააზრებულია ,ერთი მხრივ, ფუნქციურ უნარებზე, მეორე მხრივ, კი სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული საკითხების დამუშავებით. ინტერვიუს საფუძველზე, ნათლად ჩანს, რომ მასწავლებლები არჩევენ კონტექსტ-მაგალითებს, კომპლექსური დავალების იდეას /პირობასა და შესაბამის რესურსებს, დაგეგმილი პროცესი საინტერესო და მიზანმიმართულია, რაც ასევე იძლევა საშუალებას გააქტიურდეს მოსწავლის გლობალურ-ფუნქციური უნარები. მათ გააზრებული აქვთ, რომ კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნას/ პრობლემის გადაჭრას მიუდგეს შემოქმედებითად, გუნდური მუშაობის დროს ჩამოუყალიბდეთ თანამშრომლობითი უნარები, ხოლო დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიციური სტრატეგიების გამოყენება, აყალიბებს მის ხასიათს და პიროვნებას.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები გათვლილია მაღალი, დაბალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ დიფერენცირებული/ინკლუზიური სწავლების მეთოდები და მისი მნიშვნელობა სასწავლო პოზიტიური გარემოს შესაქმნელად. სკოლაში ხორციელდება ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და კომპლექსური დავალებების მათზე მორგებულად ადაპტირება. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენეცირებას.

ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა გამოიყენება მხოლოდ მეხუთე კლასის მეორე სემესტრში და მეექვსე კლასებში. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები პასუხობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აღწერენ მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებენ მიმართებას სამიზნე ცნებებსა და მათ მკვიდრ წარმოდგენებთან. 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლამ აირჩია განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ მათ აქვთ შეფასების რუბრიკების შედგენის გამოცდილება. იყენებენ ჰოლისტურ შეფასებას, ხოლო განმავითარებელი შეფასებისას - თვითშფასებას, ურთიერთშეფასებას, ზეპირ კომენტარებს. მომავალი სასწავლო წლიდან ისინი გეგმავენ შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების შექმნას, სამიზნე ცნებებთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.

5. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში დამკვიდრებულია წლის ბოლოს საგნის მასწავლებლების, კათედრების, კლასის დამრიგებლების ანგარიშების წარმოდგენა/ანალიზი, რის საფუძველზეც განიხილება ძირითადი გასაუმჯობესებელი და მომავალში გასათვალისწინებელი საკითხები. კურიკულუმის შექმნისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს, პრაქტიკულ გამოცდილებას, კომპლექსური დავალების განხორციელებისას მიღებულ უკუკავშირს, გაკვეთილის რეფლექსიას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა მუშაობას სასწავლო პროცესში და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი. მასწავლებლები ითვალისწინებენ ხარისხის მართვისა და პროფესიული განვითარების ჯგუფის წევრებისგან მიღებულ უკუკავშირებს.

ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა ;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- თემატური მატრიცები
- სხვადასხვა საგნებში სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სსსმ მოსწავლეების საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია
- პროექტი "ცხოვრების ჯანსაღი წესი"
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- კათედრის სამუშაო გეგმა
- კათედრის სხდომის ოქმები
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა
- მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის, მიღწევების დიაგნოსტირების და ანალიზი.
- სკოლის ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარი.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს, რომ ორიენტირებულნი არიან მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს. ამისათვის ირჩევენ შესაბამის სასწავლო მასალას, კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, აქტივობებსა და მეთოდებს. გაწერილი მრავალფეროვანი და პრაქტიკული შინაარსის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თემატური ბლოკები, კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწყობს მსჯელობის, ანალიზის, პრობლემის გადაჭრის, შემოქმედებით უნარების განვითარებას. ასევე სკოლში ხორციელდება არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ სხვადასხვა სახის პროექტში, ღონისძიებებში და სასკოლო წრეებში. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო კულტურა. გაკვეთილზე ძირითადი აქცენტი კეთდება კრეატიულ, სახალისო აქტივობებზე, კეთებით სწავლაზე, როლურ თამაშებზე. ეს პროცესები ხელს უწყობს მათი შინაგანი მოტიცაციის გაღვივებას და მაღალი თვითეფექტიანობის ჩამოყალიბებას, ასევე ჩამოუყალიბონ პასუხისმგებლობის შეგრძნება შესასრულებელი დავალების მიმართ. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შედგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმები იძლევა მათ შემოქმედებით ჩართულობას. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ

მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს, თემას. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მოსწავლეებს სთავაზობენ ისეთ კომპლექსურ დავალებებს, რომლებშიც წარმოდგენილია მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის მისაწვდომი ე.წ. კონტექსტმაგალითები (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგება-გათავისებამდე მიიყვანს. მოსწავლისათვის ნაცნობი ეს შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს.

ინდიკატორი2.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლის დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. საგნობრივი კურიკულუმები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ საფეხურეობრივ მიზნებსა და შედეგებს, კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლებიც, თავის მხრივ, განხორციელების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა უკუკავშირს საკუთარი სწავლის პროცესის მიმართ. სკოლაში ხორციელდება ისეთი პროექტები, რომლებიც მოსწავლეებს უწევთ მსჯელობა მათ გამოცდილებაზე, ინტერესებზე, პრობლემის იდენტიფიცირებაზე და მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებაზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს, სკოლას აქვს მოსწავლეების მიერ რეფლექსიის ვერბალურად განხორციელების გამოცდილება. მოსწავლეები აფასებენ საკუთარ ნამუშევარს, მსჯელობენ, რა გამოუვიდათ კარგად დავალების შესრულებისას, რა გაუჭირდათ და ყოველივე ეს მოსწავლეს ეხმარება საკუთარი თავის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განვითარებაში, საკითხის უკეთ გააზრებაში, წინსვლასა და წარმატებაში. სკოლის თვითშეფასების კითხვარისა და მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითრებაზე. პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავს ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა.

ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესი, დაწყებით საფეხურზე, ეფუძნება საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას და დანაწევრებული, ფაქტობრივი

ცოდნის გარდა, ემსახურება ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში დანახვასა და სამყაროს მთლიანობის აღქმას. წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მიზნების ძირითადი საკითხები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზებისას. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელთა შესრულებაც მოითხოვს კონკრეტული ფაქტობრივი მასალის ცოდნას, მოქმედების წესებისა და სტრატეგიების გამოყენებას და ცოდნის მკვიდრ წარმოდგენად ჩამოყალიბებას. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და წარმოდგენილი რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეებში საგნობრივი საკითხების გააზრებას. სკოლას აქვს ინტეგრირებული გაკვეთილების, პროექტული სწავლების გამოცდილება, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელების გამოცდილება.

ინდიკატორი2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. საგნის სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ კლასების კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, გვიჩვენებს შესასწავლი თემებისა და საკითხების ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთკავშირების შესაძლებლობას. იგი ყოველი განსაზღვრული თემით უზრუნველყოფს სასწავლო მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. შეთავაზებული კომპლექსური დავალებები მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. ამ მიზნით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე სკოლას დაწყებით საფეხურზე აქვს სხვადასხვა საგნების ინტეგრირებულად და უთიერთადაკავშირებულად სწავლების გამოცდილება. ამისი მაგალითია, უკვე ჩატარებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინტეგრირებული გაკვეთილები მათემატიკა/ბუნება, მათემატიკა/მუსიკა, მათემატიკა/ისტი, ხელოვნება/ისტორია, მუსიკა/ხელოვნება... აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- სასწავლო პროექტები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები, კომპლექსური დავალებები , შემაჯამებლები და მათი ანალიზი;
- ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი (emis.ge);
- მოსწავლეთა პრეზენტაციები, მოსწავლეთა პორტფოლიო;
- სადამრიგებლო პროგრამა
- გაკვეთილის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტში დეტალურად გაწერილი საშუალო საფეხურის საგნების სამიზნე ცნებები/ქვეცნებები , თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალებების იდეები, საგნობრივი საკითხები და რესურსები გააზრებულ კავშირშია ერთმანეთთან, რაც წარმოადგენს მთავარ ორიენტირს სწავლა-სწავლების პროცესში. აღნიშნული ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით, მკვიდრი წარმოდგენების რეალიზების გზით. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ გრძელვადიანი მიზნის მიღწევა ხდება შუალედური მიზნებით კომპლექსური ხასიათის დავალებებით. ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები მიემართება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას.

ინდიკატორი2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კონტექსტი ემსახურება არა მხოლოდ საკითხის შინაარსობრივ შესწავლას, არამედ მოსწავლეთა პიროვნულ, ფსიქო–სოციალურ და ემოციურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გაირკვა, რომ საგაკვეთილო პროცესში ყურადღება ეთმობა ისეთი კონტექსტების დამუშავებას, რომლებიც გამიზნულია მოზარდის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაზე, სოციალური უნარების განვითარებაზე. ამ მიმართებით აღსანიშნავია სკოლის სტრატეგია, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სასკოლო პროექტებს, საკლუბო აქტივობებს, სასწავლო აქტივობებსა და ღონისძიებებს. სკოლას აქვს მწერლებთან შეხვედრების კარგი პრაქტიკა და სამომავლოდაც დაგეგმილია მწერალთა კავშირის წევრებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეხვედრები. ასევე იმართება სხვადასხვა ღირსშესანიშნავი დღისადმი მიძღვნილი სასწავლო აქტივობები. სხვადასხვა სოციალურ და სასწავლო პროექტში მონაწილეობისას მოსწავლეები ცოდნასთან ერთად იძენენ პიროვნული განვითარებისთვის აუცილებელ უნარებს- კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ხასიათი/ნებელობა, თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური უნარები, პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებებზე...

ინდიკატორი2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

წარმოდგენილია შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომელთა გამოყენებაც ხდება კათედრებზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. ტაქსონომია გულისხმობს ხუთ დონეს და ასახავს ცოდნის კრიტერიუმების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ ჰოლისტური შეფასების როლი და მნიშვნელობა სასწავლო პროცესში. ამას მოწმობს შეფასების მრავალფეროვანი მიდგომები და მეთოდები, რომლებიც დაფუძნებულია ზოგად ინდიკატორებზე. ხშირია მოსწავლეებთან ერთად შეფასების რუბრიკების შემუშავების მაგალითებიც. მასწავლებლები თვლიან, რომ მოსწავლეების ჩართვა განმავითარებელ შეფასებაში ეხმარება მათ დამოუკიდებელი სწავლის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მრავალმხრივი, ჰოლისტური განვითარების თვალსაზრისით.

ინდიკატორი2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებშიც აქცენტებია გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეებმა გაკვეთილის დაწყებისთანავე იციან, რომელ კომპონენტში რომელი კრიტერიუმით შეფასდებიან, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის მობილიზებას, ობიექტურობისა და სამართლიანობის განცდას. შეფასების რუბრიკების სანდოობას, ვალიდურობასა თუ ობიექტურობას ასევე ხელს უწყობს თავად მოსწავლეების მონაწილეობა რუბრიკების შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი2.2.2.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მათ შორის 2023 სასწავლო წლის პედ. საბჭოს ოქმში აღნიშნულია, რომ ახალი წლის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელსაც სკოლა განახორციელებს ყველა მიმართულებით. კათედრების დოკუმენტებით დასტურდება, რომ ამ ეტაპზეც გააჩნიათ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ნიმუშები. ასწავლებლებთან საუბრისას გაირკვა, რომ ამ სასწავლო წელს დაგეგმილია დიაგნოსტიკური წერა რამდენიმე საგანში. მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე შეფასდება კათედრის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით გეგმავს შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ვერიფიკაცია განახორციელოს სამი მიმართულებით: 1. შეფასებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; 2. პროცესის ვერიფიკაცია; 3. მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სკოლას აქვს ამის მზაობა.

ინდიკატორი2.2.2.5. დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა, თვითშეფასების კითხვარისა და ინტერვიუს მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად, არანაკლებ სამი წლის ვადით. პედაგოგები მუშაობენ ელექტრონულ ჟურნალში, რომელშიც ხდება შეფასებების შეტანა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო წლის ბოლის, კლასის ხელმძღვანელი, ელექტრონული ჟურნალის საფუძველზე ავსებს მოსწავლის პირად საქმეს და ინახავს კანონმდებლობით დადგენილი ვადით. მიმდინარე შეფასებები, კომპლექსური დავალებების შეფასებები ინახება კათედრაზე და მის შენახვაზე პასუხისმგებელია კათედრის ხელმძღვანელი. აღსანიშნავია, რომ საშუალო საფეხურის განმავითარებელი შეფასება ყოველი წლის ბოლოს მოსწავლის პირად საქმეში ინახება, გარდა ამისა, სემესტრული განმავითარებელი შეფასებები ასახულია ელექტრონულ ჟურნალში. შემაჯამებელი წერების ანალიზები კი ასახულია მასწავლებლის პორტალზე, გარკვეული დროის შემდეგ მასალები არქივდება.

ინდიკატორი2.2.2.6. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის ოქმები;
- პროექტები;
- ინდ სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი (emis.ge);
- საგნობრივი კურიკულუმები;
- რეფლექსია- მოსწავლეთა საჭიროების დადგენისა და მიღწევების ანალიზის ინსტრუმენტები
- მოსწავლეთა მიღწევების და საჭიროებების აღწერა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას, კერძოდ, როგორც სასკოლო ასევე საკლასო გარემო ყველა მოსწავლისათვის არის პოზიტიური, თანამშრომლობითი და მეგობრული. სკოლის სტრატეგიულ გეგმაში მკაფიოდ არის მონიშნული სკოლის მისია და ღირებულებები, ხაზგასმულია სკოლაში სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროცესის პრიორიტეტები: შექმნას მოსწავლისთვის უსაფრთხო გარემო და ხელსაყრელი პირობები თითოეული მათგანის ინტელექტუალური განვითარებისთვის, ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენისთვის, იზრუნოს მასწავლებლების მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე, მათ შორის თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებაზე, იკვლიოს თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებები. ყოველივე ეს დასტურდება სასკოლო ცხოვრების პრაქტიკით, კერძოდ, კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარებით, ურთიერთდასწრებაზე გაცემული პროფესიული რეკომენდაციებით, კურიკულუმებზე ერთობრივი მუშაობით, განხორციელებული პროექტებით, კლუბური მუშაობის წარმართვით. მასწავლებლებს აქვთ წახალისების სტრატეგიებიც, როგორებიცაა სიტყვიერი შეფასება, მედლითა თუ სხვა თვალსაჩინოებით დაჯილდოება სხვადასხვა წარმატებული მოსწავლის.

ინდიკატორი2.2.3.1. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. სკოლას გააზრებული აქვს მათი მნიშვნელობა, მოსწავლეთა ჩართულობა და მოსწავლის საჭიროებებისა და პროგრესის მონიტორინგი. სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში, როგორც საგნობრივი საკითხის შესწავლას, ასევე სოციალური უნარების განვითარებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობებისა და პროექტების განხორციელების, რაც მოიაზრებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს და ხელს უწყობს მათი მოტივაციის ზრდას. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან. შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რადგან გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროები და ინტერესები. პედაგოგები ასევე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, დავალებების შეთავაზებისას ითვალისწინებენ მათ ინტერესებს, ასაკს, თავისებურებებსა და საჭიროებებს.

ინდიკატორი2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილი დოკუმენტაცია (სამოქმედო გეგმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, ბრძანებით დამტკიცებული ხასისხის, სასწავლო მორიტორინგისა და შეფასების ჯგუფები) შეიძლება მივიჩნიოთ იმის დასტურად, რომ სკოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, კომუნიკაციისა და თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებას. დაწყებით საფეხურზე დაგეგმილი კურიკულუმები მიზანმიმართულია კოლაბორაციისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს კურიკულუმი, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მოსწავლის პორტფოლიოები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, ასევე კათედრის სხდომის ოქმები, კლასის დამრიგებელთა სამუშაო გეგმები, რომლებშიც ჩანს, რომ ისინი მუდმივად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. კათედრები გეგმავენ პროექტებს, ღონისძიებებს, გაკვეთილებს, აქტივობებს, არჩევენ რესურსებს, ახდენენ მშობელთა ინფორმირებასა და ჩართულობას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ თანამშრომლობითი კულტურა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ძალიან კარგად იყენებენ „კრიტიკული მეგობრის“ პრაქტიკას. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

ინდიკატორი2.2.3.3. დაკმაყოფილებულია.

4. პოზიტიური სასკოლო კლიმატი გულისხმობს ძლიერ თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას, ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობით კავშირებს, რომლებიც მოიცავს აკადემიურ და პიროვნულ ზრდას, ზრუნვას, პატივისცემას, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობასა და მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. კურიკულუმებში მოცემული საკითხები, კონტექსტ-მაგალითები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში. დირექცია და მასწავლებლები ჩართული არიან სხვადასხვა აქტივობისა და ფესტივალების ორგანიზება-ჩატარებაში. მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად, შეძლებისდაგვარად ცდილობენ სასწავლო სივრცის გამრავალფეროვნებას. კონსტრუქციული უკუკავშირები ხელს უწყობს პოზიტიური საკლასო კლიმატის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი2.2.3.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სტრატეგიული სამოქმედო გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- პროექტები;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- კათედრის ოქმები;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციითა (კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია) და მასწავლებლებთან გასაუბრებით ნათელი ხდება, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ: -რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ ბრძანებით შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარების, სწავლების მორიტორინგისა და შეფასების ჯგუფები, რომელებიც პროფესიული მხარდაჭერის მიზნით განახორციელებენ გაკვეთილებზე დასწრებას, შეფასებას, რეკომენდაციების გაცემას. მოსწალეთა შეფასებით ხდება შედეგების გაანალიზება და შემდგომ ინტერვენციების განხორციელება: კომპლექსური დავალების მოდიფიცირება საკითხის, სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, პროდუქტის, რესურსებისა და აქტოვობების ცვლილებით. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი გეგმის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება.

ინდიკატორი2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და პედაგოგებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ ბრძანებით შექმნილია სწავლების მორიტორინგის და შეფასების ჯგუფები, რომელებიც პროფესიული მხარდაჭერის მიზნით განახორციელებენ გაკვეთილებზე დასწრებას, შეფასებას, რეკომენდაციების გაცემას. მონიტორინგი და შეფასება ორიენტირებული იქნება სასკოლო საზოგადოების წევრების დახმარებასა და მხარდაჭერაზე. მონიტორინგის განხორციელებისას მკაფიოდ განისაზღვრება ანგარიშვალდებულებები, დაიგეგმება მიზნის მიღწევის მექანიზმები. კათედრის წევრები ინტენსიურად დაესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, განახორციელებენ მონიტორინგს, ერთმანეთს შესთავაზებენ განვითარებაზე ორინტირებულ კონსტრუქციულ უკუკავშირს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მუშაობა მიმდინარებს შემუშავებული დებულების მიხედვით. დაკვირვების განხორციელების შემდეგ ხდება უკუკავშირის მიცემა. სკოლას აქვს კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრებისა და თანამშრომლობის პრაქტიკა. არსებობს „კრიტიკული მეგობრის “ ინსტიტუტი. მასწავლებლისა და დამკვირვებლის რეფლექსიის საფუძველზე, აანალიზებენ ძლიერ და სუსტ მხარეებს. პროცესი არის გამჭვირვალე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული.

ინდიკატორი2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება მიზნად ისახავს პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის გზების ძიებას. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის აღწერილობაში აღნიშნულია, რომ კათედრებზე მოხდება მშობლებისა და მოსწავლეების უკუკავშირის გათვალისწინებით მიღებული შედეგების გაანალიზება, პრობლემის იდენტიფიცირება და გაუმჯობესების გზების ძიება, რაც აისახება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ კურიკულუმის შეფასება და მონიტორინგი მოიაზრება, როგორც კურიკულუმის განხორციელების მანძილზე გამოვლენილი სირთულეების გაანალიზების და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვის საშუალება, რაც კურიკულუმის განვითარების საფუძველი იქნება. სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა და მასწავლებელთა მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი პრობლემის გადაჭრისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებისა. სასკოლო პროექტში პრიორიტეტული თემის ასარჩევად და პრობლემის გამოსაკვეთად ჩატარდა სასწავლო პროცესის კვლევა, კვლევაში გამოყენებული იყო სადამრიგებლო პროგრამების, კათედრის მონაცემების, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების მონაცემები. ამ მონაცემებზე დაყრდნობით სკოლამ გამოავლინა პრობლემა მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია და მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია. მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია გამოიხატებოდა იმაში, რომ მასწავლებლების ნაწილი ვერ უღვივებდა მოსწავლეებს მოტივაციას. პრობლემის გადასაჭრელად დაიგეგმა მასწავლებელთა ტრენინგი და შედეგად სადამრიგებლო პროგრამებში შეიტანეს მინი პროექტები, რისი საშუალებითაც გაუმჯობესდა მოსწავლეთა მოტივაცია.

ინდიკატორი2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა;
- დირექტორის ბრძანება სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის შექმნაზე
- დირექტორის ბრძანება ხარისხის მართვის ჯგუფის შექმნაზე;
- მასწავლებელთა ანგარიშები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციით ნათელი ხდება, რომ მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებით შეფასება სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლის მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. მასწავლებლები საგნებისა და კლასების მიხედვით წინასწარ ეცნობიან, მასწავლებლის მეთოდური ლიტერატურის საფუძველზე შემუშავებულ, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. ამის შემდეგ თავად აკეთებენ კომპლექსური დავალებების შესაბამის შეფასების რუბრიკებს. შეფასების ეს ფორმები ითვალისწინებს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. ხშირია გაკვეთილზე მოსწავლეებთან ერთად შეფასების რუბრიკების შემუშავება. გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებმა იციან, თუ რომელ კომპონენტში რომელი კრიტერიუმით შეფასდებიან.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის წინაპირობასა და ფაქტორებზე დაყრდნობით, რაც საშუალებას აძლევთ მოსწავლეს, გამოავლინოს სასწავლო პროცესში გამოყენებული სხვადასხვა უნარი: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება. სკოლის დოკუმენტაციაში დევს შესაბამისი აქტივობების შეფასების რუბრიკები. კათედრებს წარმოდგენილი აქვთ მრავალფეროვანი რუბრიკები, კომპლექსური ბუნების დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; სოლო ტაქსონომიის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; სხვადასხვა ტიპის დავალების შეფასების რუბრიკები; მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა.

ინდიკატორი2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში მონაცემთა შეგროვების გამოცდილება არსებობს. სკოლა შეფასებისას იყენებს რაოდენობრივ და თვისობრივ მონაცემებს. კერძოდ, შემაჯამებელი დავალებების შეფასების შემდეგ მასწავლებელი ითვლის პროცენტულად რამდენმა მოსწავლემ დაძლია სოლო ტაქსონომიის მიღწევის დონები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას მიღებული ინფორმაციის თანახმად, სასწავლო პროცესის ანალიზისთვის მონაცემთა შეგროვება სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით მოხდება. მაგ. დაკვირვება, ფოკუს-ჯგუფი, ჩაღრმავებული ინტერვიუ და სხვა. ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება სიახლე - სადიაგნოსტიკო შეფასება, რაც დაეხმარება სკოლას საგნობრივი სტანდარტების დანერგვის ხარისხის მორიტორინგში, გამოწვევების დანახვაში და მათი ანალიზის საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების დანერგვაში.

ინდიკატორი2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. წარმოდგენილი კურიკულუმები მოიაზრებს, შეფასება განხორციელდეს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად, მოსწავლეზე დაკვირვება წარიმართება მულტიფაქტორული მიდგომის გათვალისწინებით, სხვადასხვა გარემოებაში, რის საშუალებასაც იძლევა დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

არაფორმალური აქტივობები. მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს, ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა;
- შეფასების ფორმები;
- ინდ. გეგმები;
- მოსწავლეთა შედეგების ანალიზი და მათი შეფასება;
- დამრიგებლის პორთფოლიო;
- სსსმ მოსწავლის მონიტორინგი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიური ჩარჩოსა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა ითვალისწინებს წინა სასწავლო წლის კურიკულუმების ანალიზს და ამის საფუძველზე შეიმუშავებს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტს, რომელშიც დანახული მიგნებები ასახება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. კურიკულუმის განხორციელების პროცესი ეფუძნება მუდმივ შესწავლასა და რეფლექსიას დასახული მიზნის მიღწევისა და პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლები ურთიერდასწრებებისა და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს, თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში უკვე ასახულია დანერგვის პროცესში მიღებული გამოცდილება. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის გასული წლის კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. ანალიზის საგანს წარმოადგენს მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მიღწეული შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, კრიტიკული მეგობრისა და დირექციის ჩართულობა გაცემული უკუკავშირების სახით. კერძოდ, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების საფუძველზე გამოიკვეთა, რამ იმუშავა ან არ იმუშავა კარგად, რომელმა აქტივობამ აღძრა მოსწავლეთა ინტერესი, როგორ გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა, რამ იმუშავა მოტივაციაზე, რას შეცვლიდნენ მომავალი წლის კურიკულუმებში და ა.შ. იგეგმება კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების გათვალისწინებით. რევიზირებულ ვერსიაში გათვალისწინებული იქნება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის გზები.

ინდიკატორი2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმები.
- პედ. საბჭოს ოქმები
- კათედრის ოქმები

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თარიღი 20.11.2023წ.

ჯგუფის თავმჯდომარე,მაია ბუძე

ნათია ქოქუაშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ნანა სონღულაშვილი -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ნიკოლოზ გურგენიძე -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი-

ნათია ქათამაძე -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ლამარა დარახველიძე -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ოლიკო კილაძე -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი-

როლანდი ხოჯანაშვილი -სახელმწიფოენის საგნობრივი ექსპერტი

მანანა შეროზია -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გიორგი კოპლატაძე -სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნათია ბალხამიშვილი -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---